პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—53

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში —85 კ., ქალაქ გარეშე —95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ხონპარელის სტრიქონი —20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო —5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 6—43

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 30 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 274

დ ღ ი უ რ ი

— მწვავდება დამოკიდებულება ინგლისსა და ეგვიპტეს შორის.

— შვეციაში გრძელდება [illegible] მუშავეთა გაფიცვა.

— შვეციის ყვითელ პროფკავშირებში [illegible] ფულების გაფლანგვა.

— მონღოლეთის ყურულდანმა (საბჭოთა ყ[illegible] მონღოლეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელთა
და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაზეთი
ღირს თვიურათ 65 კაპ.

დანარჩენებისათვის (თბილისში მიტანით 85 კ.
(პროვინციაში გაგზ. 95 კ.

ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასო
დამატება

„ჩირაღდანი"

30 ნოემბრისათვის დანიშნული

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია

გადადებულია 4 დეკემბრისთვის.

კონფერენციის სხდომები მოხდება სასახლის წითელ დარბაზში საქართველოს ცაკის ბინაზე.

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის მორიგი საკითხები.
2. თბილ. კომიტეტის მოხსენება და თანამოხსენება კომკავშირის თბილ. კომიტეტისა.
3. ცენტ. საკონტროლო კომისიისა და თბილ. კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენებანი.
4. შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. აღმასკომის ანგარიშები.
7. მიმდინარე საკითხები.

თბილ. კომიტეტის მდივანი რუბენი.

ჩვენი პასუხი

დღეს მკითხველი გაეცნობა საბჭოთა მთავრობის პასუხს ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის ნოტაზე.

როგორც უკვე ვიცით, ბალდუინის კაბინეტმა უარყო ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა ჩვენსა და მაკდონალდის მთავრობას შორის. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ძალაში რჩება ინგლისის მიერ ჩვენი იურიდიულად ცნობა და არც დიპლომატიური ურთიერთობა წყდება მხარეთა შორის.

ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: თუმცა დღესაც, როგორც წინედ, ინგლისის კაპიტალისტებს (როგორც სხვა ქვეყნებისასაც) დიდი სურვილი აქვთ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის, საბჭოთა ქვეყნების დამონების, მაგრამ ხელები მოკლე გაახნიათ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის. მუშურ-გლეხური ხელისუფლება განმტკიცდა; საბჭოთა კავშირის მეურნეობა აღორძინდა; ამასთან მშრომელთა სახელმწიფო უდიდეს საერთაშორისო ფაქტორად იქცა. ამისათვის ანგარიშის გაუწევლობა საზიანო შეიქმნა პირველყოვლისა იმათთვის, ვინც განზრახ თვალებს იბრმავებდა და არ უნდოდა ამ ფაქტის დანახვა.

და დაიწყო პერიოდი საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიული ცნობისა. დღევანდელს პირობებში კაპიტალისტებმა განზე გადადევს მშრომელთა რესპუბლიკების იარაღით ხელში დამონება, ან მათი ბლოკადა და ეკონომიური განცალკევება, როგორც განუხორციელებელი და თვით მათთვის მეტად საზარალო ზომა. მათი მთელი ცდა მიმართულია იქითკენ, რომ საბჭოთა მთავრობას მოლაპარაკების დროს რაც შეიძლება მეტი გამოგლიჯონ, ჩვენს ხარჯზე დააკმაყოფილონ „რუსეთის ყოფილ უცხოელ მესაკუთრეთა და კრედიტორების" პრეტენზიები, თავზე მოგვახვიონ მიუღებელი პირობები, რაც ოქტომბრის მონაპოვართა შეკვეცა იქნებოდა.

ინგლისის მთავრობამაც ხსენებული ხელშეკრულება უარყო არა იმიტომ რომ იგი საერთოდ არ იყოს დაინტერესებული ჩვენთან შეთანხმებაში, არამედ იმიტომ, რომ ამით მას უნდა ერთგვარი გავლენა მოახდინოს საბჭოთა მთავრობაზე, გადასინჯოს ხელშეკრულების ტექსტი ინგლისელ კაპიტალისტების სასარგებლოდ, მეტ დათმობაზე გვაიძულოს.

ამიტომაცაა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა ჩვეულებრივად გრძელდება და აღებ-მიცემობაც (ძველი სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველზე).

ბალდუინის მთავრობა, შესაძლებელია, მოელოდა ჩვენგან წინადადებას მოლაპარაკების ახალ საფუძველზე დაწყების შესახებ, მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდა. რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ხელახალი მოლაპარაკების გამართვის, მხოლოდ ერთი რამ ამ [illegible] ცხადია, — სახელდობრ კონსერვატიულ მთავრობის მიერ უარყოფილი ხელშეკრულება წარმოადგენს დათმობის საზღვარს. ასეთი დირექტივი მისცა საბჭოთა კავშირის უკანასკნელმა სესიამ მთავრობას. ეს აზრია გატარებული ამხ. რაკოვსკის ნოტაშიც. ჩვენმა მთავრობამ, როგორც ნოტაში ვკითხულობთ, გამოიჩინა უდიდესი მისწრაფება და დათ[illegible] იმ საკითხებში, რომელნიც განსაკუთრებით აინტერესებდნენ ბრიტანეთის მთავრობას, მშრომელ კლასებს და ინგლისის მოსახლეობის სხვა წრეებს. და თუ მიუხედავად ამისა ბალდუინის კაბინეტმა აღნიშნული ხელშეკრულება უარყო, მთელი პასუხისმგებლობა ამის შედეგებისათვის სავსებით და მხოლოდ მას აწვება.

ტყუილად ნუ ფიქრობს ინგლისის ბურჟუაზია, რომ ჩვენ თითქო უიმისოდ ვერ გავსძლებთ და იძულებული ვიქნებით დავაკმაყოფილოთ მისი განუსაზღვრელი მადა.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე ინციდენტი, რომელიც დატრიალდა „ზინოვიევის წერილის" გარშემო. მაკდონალდის მთავრობის კომისიამ აღიარა, რომ ამ „წერილის" დედანი არ არსებობს. არც ასლია ვინმეს მიერ შემოწმებული. ამის შემდეგ საკითხი გამორკვეულად უნდა ჩათვლილიყო, ე. ი. „დოკუმენტის" სიყალბე ცხადი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა ინგლისის ახალ მთავრობას „ეჭვი არ შესდის ზინოვიევის წერილის სინამდვილეში", ამასთან ის უარს უცხადებს მის შემოწმებაზე მიუდგომელი სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, რის შესახებ წინადადება მისცა ჩვენმა მთავრობამ.

ინგლისის მთავრობა თავს ვერ დააღწევს იმ მეტად უხერხულ მდგომარეობას, რომელშიაც ის იმყოფება. ყველასათვის აშკარა ხდება, რომ კონსერვატორებმა თავისი საარჩევნო გამარჯვება ააგეს ყალბ დოკუმენტზე. ყალბის მქნელების სამარცხვინო სახელს ვერ მოიშორებენ ისინი. ამხ. რაკოვსკი განმეორებით აძლევს ლონდონის კაბინეტს წინადადებას, რათა ეს საკითხი გარჩეულ იქნას საგანგებო სამედიატორო სასამართლოს მიერ. ამაზე უარის თქმა, როგორც ამხ. რაკოვსკიც აღნიშნავს, იქნება ბალდუინის მთავრობის მხრით თავისი სიმტყუნის აღიარება.

კონსერვატიული მთავრობა აგრეთვე ბრალსა სდებს საბჭოთა ხელისუფლებას კომუნისტურ პროპაგანდისთვის და მას ხდის პასუხისმგებლად კომინტერნის მოღვაწეობისათვის. ამხ. რაკოვსკი იძულებულია ერთხელ კიდევ განუმარტოს ლონდონის პოლიტიკოსებს, რომ კომინტერნი პოლიტიკურიდ და ორგანიზაციულად სრულებით დამოუკიდებელია საბჭოთა მთავრობისაგან და უკანასკნელს არ უკისრია და ვერც იკისრებდა კომინტერნის და სხვა მუშათა ორგანიზაციების გაძევებას თავის ტერიტორიიდან ან მათი მუშაობის აკრძალვას. ეს არ შეადგენს მის მოვალეობას.

რა პერსპექტივები მოსჩანს ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულებაში?— ჩვენი სიმტკიცე და უტყუარი აღორძინება, ინგლისის ეკონომიური კრიზისი, ჩვენი მოსალოდნელი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან ბოლოს და ბოლოს გასტეხენ კონსერვატორების ჯიუტობას და ისინი იძულებული გახდებიან გამონახონ ჩვენთან საერთო ენა. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ვიცადოთ.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი აბამს მჭიდრო კავშირს ინგლისის პროლეტარიატთან, რაც ნიადაგს უმზადებს ორივე ქვეყნის ხალხთა დაახლოვებას და შეთანხმებას. სხვათა შორის, ამ კავშირის ზრდის მაჩვენებელია ტრედიუნიონების დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და მისი, მკითხველისათვის უკვე ცნობილი განცხადებები,—დელეგაციის, რომელიც დღეს ეწვევა ჩვენს რესპუბლიკასაც.

„ახალი საქართველო"

„თანდათან მტკიცდებოდა ჩემ გონებაში ის აზრი, რომ წინდაწინ წაგებულ და ქვეყნისათვის დამღუპველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია და რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნათ თანამშრომლობა აგვერჩია —ქართველი ხალხისათვის ეს აჯობებდა... საჭიროა ქართული Смена Вех და პირდაპირ, პატიოსანი აღიარება იმ ერთად ერთი საქართველოსი, რომელიც დღეს არსებობს რეალურათ, რომელსაც მომავალი იურიდიულიც აქვს და ფაქტიურიც და რომელიც ისტორიულათ თანდათან გამართლებული გამოდის...

გრ. ვეშაპელი.

ასეთი ენით ლაპარაკობს დღეს „ძველი საქართველოს" უკიდურესი მემარჯვენე საზოგადოებრიობის ბელადი, ბ-ნი გრიგოლ ვეშაპელი, გაზეთ „ახალი საქართველოს" ფურცლებზე. სხვა ადგილებს მისი წერილიდან აღარ მოვიყვანთ, რადგან მას სრულიად უცვლელად ვათავსებთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

„ახალი საქართველოს" გამოსვლა პარიზში, ქართული კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ცენტრში, ფრიად მაჩვენებელი მოვლენაა. ის მოწმობს არა მარტო იმაზე, რომ ოდესღაც ერთიანი ფრონტი ანტისაბჭოთა პარტიებისა უცხოეთში დაირღვა, რაც უმთავრესია, არამედ იმაზეც, რომ დაშინება და „ტერორი" რომლის ქვეშ დაყენებული ყავდა ნ. რამიშვილსა და მის მაუზერისტებს მთელი ქართული ემიგრაცია უცხოეთში, კერძოთ კი პარიზში, შესუსტდა, შელბა, შელპა. სწორეთ საერთო ატმოსფერა ტერორისა და დაბეზღების აიძულებდა პარიზელ ქართველ სტუდენტებს (ცნობილი დეკლარაციის ავტორებს) ეთქვათ: დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა პარიზში გვაიძულებს გვერდი აუხვიოთ იმ დამაბრკოლებელი მიზეზების დასახელებას, რომლებმაც ხელი შეუშალეს და შეაფერხეს დღემდე ჩვენი ორგანიზაციული გამოსვლა.

მენშევიკური ბელადები დღემდე შეუზღუდველ „ბატონებათ" გრძნობდნენ თავს ქართველ ემიგრანტების მასაში. მათი ფართო კავშირი როგორც ბურჟუაზიულ მთავრობებთან ისე მათ მოსამსახურე სოციალისტურ პარტიებთან აძლევდა მათ დიდ უპირატესობას იდეურ-პოლიტიკური თუ პოლიციური ჰეგემონიისას. გარდა ამისა უეჭველად გარკვეული დრო იყო საჭირო, რათა ყველა, გარდა ჯიბით დაბრმავებულებისა და ყურებ გამოვლილებისა, დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ „წინდაწინ წაგებულ და ქვეყნისათვის დამღუპველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია" (როგორც დღეს ბ-ნი ვეშაპელი ამბობს). ზოგიერთი ემიგრანტების „გამოსაფხიზლებლათ" საჭირო შეიქნა, დაეკარგოდათ იმის იმედი, რომ ვერც ოსმალეთი, ვერც ინგლისი, ვერც მუსოლინი, ვერც ალექსინსკი და ვრანგელი ე. ი. მეფის მოტრფიალენი ვეღარ დაუბრუნებენ მენშევიკ-ნაციონალ-დემოკრატ-ფედერალისტებს „დემოკრატიულ საქართველოს" და ვერ მოახერხებენ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებას. მხოლოდ ასეთი მწარე გამოცდილების შემდეგ გადაწყვიტეს და ბოლოს ვეშაპელის ყაიდის ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: გამოვიცვალოთ სავალი გზა, რათა დავიბრუნოთ „პირველი სამშობლო" და ის ახალი ხაზი, რომელიც მათ დაისახეს სასიარულოთ მომავალში, უეჭველათ გაუადვილებს მათ სამშობლოში დაბრუნებას.

ჩვენ ვიცით, რომ ქართველი „სმენავეხელების" შემადგენლობა არ არის ერთფეროვანი თავიანთი პოლიტიკური მისწრაფებებით და პროგრამით, ისევე როგორც არ იყვნენ ერთფეროვანი რუსი სმენავეხელები სულ უკანასკნელი დროის, როდესაც ისინი სცემდნენ ბერლინში გაზ. „ნაკანუნეს". მაგრამ საერთო რამ, რაც მათ აკავშირებდა იყო მინიმუმი, რომლის ნიადაგზე შესაძლებელი გახდა მათი თანამშრომლობა საბჭოთა წესწყობილების პლატფორმაზე და საბჭოთა მთავრობასთან ასეთი თანამშრომლობა ქართველ „სმენავეხელებთანაც" შესაძლებელია. შესაძლებელი როგორც აქ საქართველოში ისე უცხოეთში, სადაც გაფანტული არიან ქართველი ემიგრანტები. რადგან [illegible] ინტერესისა და მშრომ[illegible] ვებთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც სცნობენ დღეს ამდენი ხნის ვაი-ვაგლახის და წვალების შემდეგ, რომ ფუჭი იყო მათი ცდა და თავიანთ ქვეყნის დამღუპველ საქმეს შეალიეს ენერგია წარსულში. „ახალმა საქართველომ" უნდა მოუყაროს თავი ამ ელემენტებს და გარდა ამისა შეაგნებინოს იმათ ვისაც ეს კიდევ ვერ შეუგნია, რომ ფუჭი ოცნებაა საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებაზე. ჩვენ რასაკვირველია არას ვლაპარაკობთ იმ „კუზიანებზე" რომელთა გასწორება ჩვენი აზრით აღემატება „ახალი საქართველოს" შესძლებლობას.

ნ.

უცხოეთის პრესა

„ფორვერტსი" და ტროცკის ახალი გამოსვლა

როგორც მკითხველებს ეხსომება, თავის დროზე პარტიაში გაჩაღებულმა კამათმა ოპოზიციის გარშემო ჩვენ მტრებს „გულს იმედი დაუსახა". მათ უკვე ესიზმრებოდათ პარტიის დანაწილება ფრაქციებათ და დარღვევა. რას გამოელოდენ მტრები აქედან, რომ მართლა გამართლებულიყო მათი იმედი—ეს ყველასათვის ცხადია. როგორც ვიცით, მათი ტკბილი ოცნება და ჩვენი სინამდვილე ერთმანეთს დასცილდენ, იმედები გაქრენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ არა სამუდამოთ.

ჩვენ გუშინ გაკვრით მოვიყვანეთ „როტე ფანე"-ს აზრი იმაზე, რომ ტროცკის ახალმა გამოსვლამ სიხარულის ჟრუანტელი გამოიწვია ჩვენ მტრებში. „როტე ფანე" პირდაპირ ასახელებდა გერმანიის მენშევიკების გაზეთს „ფორვერტს"-ს.

ამ უკანასკნელში დაიბეჭდა მეთაური წერილი, სადაც დაწვრილებით არის ლაპარაკი ტროცკის ახალი წიგნისა და „პრავდას" რედაქციის პასუხის *) შესახებ, მოჰყავს რა ადგილები ამ პასუხიდან გაზეთი სწერს შემდეგს:

„როგორც კომუნისტების ცენტრალური ორგანოს ოფიციალური განცხადებებიდან სჩანს, კომუნისტ დიქტატორების ბრძოლა ურთიერთშორის მომატებული ენერგიით დაიწყო. ოპოზიციონურ მიმდინარეობათა გაძლიერების გამო კომუნისტურ პარტიაში, განსაკუთრებით მუშებში და ახალგაზრდობაში, საეჭვო არ არის რომ ეს ბრძოლა არ შემოიფარგლება ვიწრო წრით, არამედ ძლიერ გავლენას მოახდენს მთელ პარტიაზე".

ოპოზიციის გაძლიერება პარტიაში ისეთივე წმინდა ზღაპარია, როგორითაც უმასპინძლდება ხოლმე ხშირად „ფორვერტსი"-ს მოსკოველი კორესპონდენტი სოციალ-დემოკრატიული გაზეთის მკითხველებს. „ოპოზიციის გაძლიერება" ეს არის დასაწყისი გაძლიერებული აგიტაციისა რუსეთის კომუნისტების და საზოგადოთ ყველა (მათ შორის გერმანელი) კომუნისტების წინააღმდეგ. სხვა არაფერი. „ფორვერტს"-ს უნდა მოაჩვენოს თავის მკითხველებს: ინგრევა რუსეთის კომუნისტური პარტია (ეს საშინელი „ერკაპე"!) და მასთან ერთად მთელი მესამე ინტერნაციონალიო. თავისთავად ცხადია, თუ მკითხველმა ოდნავად მაინც ათხოვა ყური ამ „ამბავს", ის სათანადო დასკვნას გამოიტანს საზოგადოთ კომუნისტების და კერძოთ კი გერმანელ კომუნისტების შესახებ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი წერით და სიტყვით მენშევიკები სასიამოვნოთ უჩიჩინებენ ბურჟუაზიის ფანტაზიასაც კომუნისტების დასუსტების შესახებ. და ეს ხომ დიდი ღვთისწყალობაა მენშევიკებისთვის.

მაგრამ საბედნიეროთ ამ შემთხვევაშიც ერთია ჩვენი მტრის სურვილი და მეორე—სინამდვილე. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, რომ მთელი პარტია ერთსულოვანია „ტროცკიზმის" საკითხში. იგივე მდგომარეობაა თვით კომინტერნში, მის სექციებში. ამ დღეებში ჩვენ მოვიყვანეთ გერმანიის კომპარტიის აზრი „როტე ფანედან" და გამოვსთქვამდით იმედს, რომ ასეთივე იქნებოდა შეხედულება სხვა ძმური პარტიებისა. მას შემდეგ ჩვენ მოგვივიდა ცნობა, რომ საფრანგეთის კომპარტია იმავე აზრის არის. ამ გზით ივლიან სხვა პარტიებიც, რადგან ეს გზა აირჩიეს მათ პირველი კამათის (ოპოზიციის გარშემო) დროსაც.

ჩვენ ღრმათ გვწამს ამიტომ, რომ „ფორვერტსი"-ს და ყველა მტრების ყიყინი კომპარტიის და კომინტერნის დასუსტების შესახებ ისევე „გამართლდება", როგორც „გამართლდა" ის წინათ.

---

*) ეს პასუხი იბეჭდება დღეს [illegible] გაზეთში

ინგლისს-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

საბჭოთა კავშირი პასუხისმგებელი არ არის ხელშეკრულების ჩაშლისათვის

„ზინოვიევის წერილი" თავიდან ბოლომდის სიყალბეა

ჩვენ მოვითხოვთ სიმართლის გამორკვევას სამედიატორო სასამართლოს საშუალებით.

ჩვენი პირველი ნოტა

საბჭოთა კავშირი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების დარღვევისათვის

მოსკოვი, 28 ნოემბერი. ამხ. რაკოვსკიმ 28 ნოემბერს გადასცა ინგლისის მთავრობას შემდეგი ნოტები:

პირველი ნოტა: „მე მივიღე და გადავეცი ჩემს მთავრობას თქვენი ნოტა 21 ნოემბრის თარიღით, რომელშიაც ბრიტანეთის მთავრობა უარს აცხადებს ინგლისის პრემიერისა და გარეშე საქმეთა მინისტრის მაკდონალდის და გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის არტურ პონსონბის მიერ 8 აგვისტოს ხელმოწერილ გენერალურ სავაჭრო ხელშეკრულებისათვის მხარის დაჭერაზე.

საბჭოთა მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს ამ ხელშეკრულებათა უარყოფის გამო, რადგან მათი დადება წარმოადგენდა სერიოზულ პირობას საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და, კერძოთ, ინგლისის და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ჩემმა მთავრობამ დამავალა განვაცხადო, რომ მან თავის მხრივ გამოიჩინა უდიდესი მისწრაფება და წავიდა მაქსიმუმ დათმობებზე იმ საკითხებში შესათანხმებლად, რომლებშიაც განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი ინგლისის მთავრობა, მშრომელი კლასები და თქვენი ქვეყნის მოსახლეობის სხვა წრეები. ამის გამო ჩემი მთავრობა თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას იმ უკმაყოფილებისათვის, რომელსაც გამოიწვევს ორთავე ქვეყანაში ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილება.

რაკოვსკი".

ჩვენი მეორე ნოტა

„ზინოვიევის წერილი" აბსოლიუტური სიყალბეა

ჩემმა მთავრობამ დამავალა მოგახსენოთ თქვენ შემდეგი ფაქტები:

საბაბი ამ მიწერ-მოწერისა და ბატონ გრეგორის 24 ოქტომბრის ნოტის, რომელიც მე ჩამბარეს იმავე დღის საღამოს,—ოთხი დღით წინ პარლამენტო არჩევნებამდე,—შეიქმნა ბატონ ზინოვიევის წერილი ინგლისის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელზე. ზემოხსენებულ ნოტის მიღებისთანავე მე დაუყოვნებლივ წერილობით ვაცნობე ბატონ მაკდონალდს, რომ ჩემი ღრმა რწმენით ე. წ. ზინოვიევის წერილი აშკარა სიყალბეს წარმოადგენს.

ამის შემდეგ 27 ოქტომბერს გამოგზავნილ ნოტით მე ვაცნობე ბატონ მაკდონალდს, რომ მოსკოვში ამ წერილის შესახებ მოხდენილ კვლევა და ჩემი მთავრობისაგან მოვიდა დავალება კატეგორიულათ განვაცხადო, რომ წერილი, რომელსაც ზინოვიევს აწერენ, აშკარა სიყალბეს წარმოადგენს.

ინგლისის ავტორიტეტულ კომისიის აზრი

[illegible] ყურადღების გამო, [illegible] ამ [illegible] ინგლისის საზოგადოებრივ აზრის მხრის, და იმ მიზნით, რათა [illegible]ულიყო ყოველივე ეჭვი ამის შესახებ და გამორკვეულიყო ობიექტიური ჭეშმარიტება, ჩემმა მთავრობამ წამოაყენა წინადადება ამ წერილის სინამდვილის გამორკვევა მიენდო მიუდგომელ სამედიატორო სასამართლოსათვის. [illegible]კისი წინადადების პასუხი ჩემს მთავრობას არ მიუღია რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ინგლისის მთავრობის რამდენიმე წევრმა საჯაროდ გამოსთქვეს თავისი ეჭვი დოკუმენტის სინამდვილეში, ხოლო ზოგიერთი მათ შორის გადაჭრით ამბობდენ რომ წერილი სიყალბეს წარმოადგენს.

ამ ეჭვების გამო, საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ, ინგლისის მთავრობამ დოკუმენტის სინამდვილის გამოსარკვევად საჭიროდ სცნო დაენიშნა ავტორიტეტული კომისია მთავრობის წევრთაგან, რომელთა შორის იმყოფებოდა ინგლისის პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი.

ზემოხსენებულმა კომისიამ ის დასკვნა გამოიტანა—რაიც მან განაცხადა 4 ნოემბერს,—რომ არც მთავრობას და არც რომელიმე მის ორგანოს დოკუმენტის დედანი თვალით არ უნახავს. ამ მდგომარეობით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს ეგრედ წოდებული „ზინოვიევის წერილი" მიაჩნია აშკარა სიყალბეთ. ავტორიტეტულ კომისიის ზემოხსენებული განცხადება ყოველგვარ საფუძველს აცლის ბატონ მაკდონალდის მიერ წამოყენებულ ბრალდებას და ჩემმა მთავრობამ ეს განცხადება მიიჩნია მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდების ფაქტიურ უარყოფათ.

მართლაც, ბრალდების აშენება დოკუმენტზე, რომლის სინამდვილე არავის არ შეუმოწმებია, რომელიც თვით ბრალდებულებს არ უნახავთ, ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ელემენტარულ წესებს.

ინგლისის დელეგაცია დარწმუნებულია წერილის სიყალბეში

შეიძლება ზედმეტი არ იქნება გავსძინოთ ზემოდ თქმულს, რომ ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაცია ბ-ნ პერსლის, ბენ-ტილეტის, ბრომლეის, ფინდლეის, ტერნერის და სმიტის შემადგენლობით, რომელმაც გამოარკვია მოსკოვში „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის საკითხი, მოვიდა შემდეგ დასკვნამდე: „დელეგაცია სავსებით დარწმუნებულია, რომ დოკუმენტი ყალბია და ამის წინააღმდეგ არავითარი დოკუმენტის მოყვანა არ შეიძლება, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას უარის თქმა ამ საკითხის სამედიატორო სასამართლოში გარჩევაზე, რაც მოითხოვა რუსეთმა.

ბრალდება უსაფუძვლოა

ჩემი მთავრობა თავის უზომო განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის ეხლანდელმა მთავრობამ შესაძლებლად სცნო სავსებით გვერდი აუხვია ინგლისის წინანდელი მთავრობის მიერ აღდგენილი ფაქტისათვის, არ მიიღო წინადადება მიუდგომელი სასამართლოს მიერ დოკუმენტის სინამდვილის გამორკვევის შესახებ და განაცხადებია, რომ დოკუმენტი ნამდვილია ისეთ ცნობებზე დამყარებით, რომელთაც არავინ იცნობს. ჩემს მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ასეთი დაუმტკიცებელი განცხადების მიწოდება.

ეს პირველი არ არის

ჩემი მთავრობა ფიქრობს, რომ მას მით უფრო მეტი საბუთი აქვს არ მიიღოს ინგლისის მთავრობის დაუსაბუთებელი განცხადება, რომ საბჭოთა მთავრობას წარსულშიც ურდგენდენ ისეთ „დოკუმენტებზე" დამყარებულ ბრალდებებს, რომლებიც დაწვრილებითი განხილვის შემდეგ ყალბი აღმოჩნდებოდენ და ირკვეოდა ამ სიყალბის წყაროებიც. ჩემს მთავრობას გამორკვეულად და დამტკიცებულად მიაჩნია ის, რომ ევროპის და ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში არსებობენ ორგანიზაციები, რომელთაც ხელმძღვანელობენ რუსი კონტრ-რევოლიუციონერი —ემიგრანტები და სხვა ბნელი ელემენტები. ელემენტების ხელობას შეადგენს ყალბი დოკუმენტების შეთხზვა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შერყევის მიზნით. ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში მე წარუდგინე გარეშე საქმეთა სამინისტროს საბუთები იმის შესახებ, რომ ინგლისის ტერიტორიაზე არსებობენ პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც თხზავენ და ავრცელებენ ყალბ დოკუმენტებს საბჭოთა კავშირის შესახებ.

მერყევ ნიადაგზე

ჩემის მთავრობის სახელით მე უნდა გამოვსთქვა ღრმა მწუხარება, რომ ინგლისის მთავრობა თავის პოლიტიკურ გამოსვლებს, რომელთაც მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის და ინგლისის ურთიერთობისათვის, ამყარებს შეუმოწმებელ და საეჭვო წყაროებიდან მიღებულ დოკუმენტებზე და მით მერყევ ნიადაგზე აყენებს ურთიერთობას ორ სახელმწიფოს შორის, ისეთ კერძო ბოროტგამზრახველ და ბნელ პირებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ისახავენ პირად ანგარიშებითი მიზნებს.

ჩემი მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობის კომისიის 4 ნოემბრის განცხადება, რომ დოკუმენტი, რომელსაც ემყარება ბატონი გრეგორი თავის 24 ოქტომბრის ნოტაში, არ არსებობს, სავსებით ახსნილებს წამოყენებულ ბრალდებას. მას სურს დაიჯეროს, რომ მომავალში ინგლისის მთავრობა უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს ბრალდებების წამოყენებაში და ყოველმხრივ აწონდასწონის ფაქტებს, რომლებსაც დაამყარებს ოფიციალურ მიწერ-მოწერის დროს.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს სამედიატორო სასამართლოს დანიშვნას

მაგრამ, რამდენადაც ეხლანდელ მთავრობას სწადია გვერდი აუხვიოს ინგლისის მთავრობის კომისიის 4 ნოემბრის განცხადებას და კვლავ იმეორებს ყალბ დოკუმენტზე დამყარებული ბრალდებებს,—საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ იძულებულია დაჟინებით მოითხოვოს,—როგორც ერთადერთი საშუალება საკითხის მიუდგომლად გადაჭრისათვის,—არბიტრაჟით, რომელიც აღნიშნულია მისი 27 ოქტომბრის ნოტაში, რომელიც, სამწუხაროდ, „დაკარგული" აღმოჩნდა ინგლისის მთავრობის შეცვლის დროს, მაგრამ რომლის შინაარსი ბატონ გრეგორის განცხადებით, თქვენ იცით.

ინგლისის მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ უარის თქმა სამედიატორო სასამართლოზე შეფასებული იქნება ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის მიერ ისე, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია დაადასტუროს და დაამტკიცოს მის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს წამოყენებული ბრალდება.

კომინტერნი და საბჭოთა კავშირი სულ სხვადასხვაგვარი ორგანიზაციებია

ჩემი მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის მთავრობამ გვერდი აუხვია პირდაპირ პასუხს არბიტრაჟის შესახებ და „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის გამოსარკვევად და საჭიროდ სცნო წამოეყენებიათ ბრალდებები ინგლისის წინააღმდეგ კომინტერნის მუშაობის შესახებ.

რაც შეეხება ამ ბრალდებებს, ჩემმა მთავრობამ დამავალა მე ერთხელ კიდევ განვიმეორო ჩემი მიერ არა ერთხელ გაკეთებული განცხადება, რომ კომინტერნი პოლიტიკურად და ორგანიზაციულად სავსებით დამოუკიდებელია საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან. ჩემს მთავრობას არასოდეს არ მიუღია და არც შეუძლია მიიღოს თავისთავზე ვალდებულება, რომ [illegible] ეტყვის კომინტერნს და სხვა [illegible] მუშათა ორგანიზაციებს თავშეყრის მიცემაზე და მით უფრო გავლენას მოახდენს მათზე.

სთვლის რა უსარგებლოდ და უნაყოფოდ შემდეგ კამათს მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციებზე გალაშქრების გამო, ჩემი მთავრობა მოითხოვს განვაცხადო, რომ ის ლოიალურ და ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას.

რაკოვ[illegible]

[illegible]ლისის დელეგაციის კატეგორიული განცხადება

როსტოვი. 28 ნოემბერი. პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საუბრის დროს პერსელმა განაცხადა: „ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ ზინოვიევის „წერილი" წარმოადგენს აშკარა სიყალბეს. ჩვენ მოვითხოვთ რაკოვსკის წინადადების მიღებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ ინგლისის მთავრობისაგან, რომ გამოააშკარაოს პრესაში ზინოვიევის წერილის [illegible]. დაცინვას და სიყალბეს უნდა [illegible].

სხვა გზა არა აქვთ...

ლონდონი. 29 ნოემბერი. როგორც გაზეთი „ვესტმინსტერ გაზეტ" იტყობინება, ახლო მომავალში ბალდუინის მთავრობა დაიწყებს მოსკოვთან მოლაპარაკებას ახალი ხელშეკრულების შესახებ.

რიგი ბელგიაზეა

პარიზი, 28 ნოემბ. ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრაპო" იტყობინება, რომ ბელგიის მრეწველებს შორის შემჩნეულია ლტოლვა კომერციული ურთიერთობის განახლებისაკენ საბჭოთა კავშირთან.

სააქციონერო საზოგადოებამ, რომელსაც წინეთ საბჭოთა რუსეთში ჰქონდა შუშის ქარხნები, ამ დღეებში გაადიდა თავისი სააქციონერო კაპიტალი; ამას ის ხსნის იმ მოსაზრებით რომ „საჭიროა მოვემზადოთ მუშაობის განახლებისათვის რუსეთის წარმოებებში, რაც შეიძლება ჩქარ მოხდეს".

ბელგიის იმ მრეწველთა ჯგუფების თავმჯდომარემ, რომელსაც წინეთ რუსეთში ჰქონდათ ფაბრიკები, განაცხადა, რომ ბე[illegible] მრეწველები მზად არიან განაა[illegible] მუშაობა საბჭოთა კავშირში [illegible]ის ყოფილ წარმოებებში.

ჩვენი ელჩი შვეციაში

სტოკჰოლმი. 28 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შვეციაში დოვგალევსკიმ მეფეს ჩააბარა რწმუნების სიგელები.

ანგარიშს უწევენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას

ბერლინი, 28 ნოემბ. მოსკოვში მიმდინარე გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით—გერმანიის გავლენიანი გაზეთები გაფრთხილებით აძლევენ გერმანიის სავაჭრო და მრეწველო წრეებს, რომ ძალიან დიდ იმედებს ნუ იქონიებენ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება უარს იტყვის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე.

მაგალითად ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია" სწერს: „გერმანელმა მრეწველმა და გერმანელმა ვაჭარმა გადაწყვეტით უნდა იცოდნენ და მხედველობაში ჰქონდეთ მიღებული, რომ ყოველივე საქმიანი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან დადებული იქნება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით. შეუძლებელია [illegible] ამ სახელმწიფო სავაჭრო [illegible]. თუ ინგლისმა ან ეკონომიურათ ძლიერესმა სახელმწიფომ [illegible] ვერ შესძლო დაერღვია ის მონოპოლია, მაშინ ეს უფრო [illegible] შეუძლებელია სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ჩინეთში მწვავდება

პეკინი. 29 ნოემბერი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული დუან-შაო ჯერ კიდევ შანხაიში იმყოფება და უარს აცხადებს პორტფელის მიღებაზე. მან განაცხადა, რომ არ გაემგზავრება პეკინში, ვინაიდან ფიქრობს, რომ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ხანამ პარლამენტარული რეჟიმი არ იქნება შემოღებული.

გაზეთების ცნობით [illegible] საგარეო საქმეთა მინისტრად.

ფინ-იუი-სიანი უარს ამბობს მთავრობაში მონაწილეობის მიღებაზე და სამხედრო თანამდებობაზე.

იაპონიიდან მიღებული ცნობებით, უ-პეი-ფუ მოითხოვს ფინ-იუი-სიანის გადადგომას და ჩჟან-ცზო-ლინის ჯარების სამხრეთისაკენ წინსვლის შეჩერებას.

მარშლები ჩი-სი-იუანგი და ხია-გია-ნან მოითხოვენ ჩჟან-ცზო-ლინის და ფინ-იუი-სიანის ჯარების უკან დახევას და უ-პეი-ფუს დანიშვნას ნაციონალური არმიის უფროსათ.

გაზეთი „ჩინ-პო" მოითხოვს ნაციონალური კრების სასწრაფოთ მოწვევას სუნ-იატ-სენის თავმჯდ[illegible]

დღეს თბილისში ჩამოვა ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია



ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია

1. ბენ ტილეტი, 2. ჯონ ბრომლეი, 3. ტერნერი, 4. ალბერტ არტურ პერსელი, 5. სმიტი, 6. ფრედ ბრომლეი

დელეგაციის მოლოდინში

გუშინ, დილის 9 საათზე ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია ჩამოვიდა ბაქოში.

გუშინვე დილით რკინიგზელთა პროფკავშირის ბაქოს განყოფილებამ პირდაპირი მავთულით შეატყობინა ამიერ-კავკ. რკინის გზის პროფკავშირს რომ 29 ნოემბერს, ღამის 12 საათზე დელეგაცია მოემგზავრება თბილისში მატარებელ № 4-ით. დელეგაცია თბილისში ჩამოვა დღეს, საღამოს 7 საათზე.

დელეგაციის წევრები

ინგლისის დელეგაციის შემადგენლობა ასეთია: ა. ა. პერსელი. გულის კონგრესის ყოფ. თავმჯდომარე როგორც პარლამენტის წევრი, იგი მხარს უჭერდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას. პერსელი მუშათა პარტიის ყველა სხვა ლიდერებზე მეტად იბრძოდა, რომ ინგლისელ ტრედუნიონების მოძრაობა გამოიყვანოს თანამედროვე მდგომარეობიდან. იგი ყოველთვის მხარს აძლევდა ბრძოლის უფრო გაუმჯობესებულ მეთოდებსა და ორგანიზაციას. მისი მოღვაწეობა ამსტერდამის პროფკავშირების გაერთიანებულ ყრილობაზე ვენაში და გულლის კონგრესზე საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის გაერთიანებასთან დაკავშირებით—ატარებდა ნამდვილი გულწრფელობის ხასიათს. 1914 წლიდან პერსელი ითვლება გენერალურ საბჭოს წევრათ, სადაც იმას უმთავრესი ადგილი უჭირავს ინგლისის პროფმოძრაობის მემარცხენე მიმდინარეობაში.

ჰერბერტ სმიტი. მრავალ წლების განმავლობაში იგი მუშაობდა სამთამადნო მუშათა ფედერაციაში. იქ იგი იმყოფებოდა თავმჯდომარის მოადგილეთ. და როცა თავმჯდომარე სმაილმა თავი გაანება ამ პოსტს, მისი ადგილი დაიჭირა სმიტმა. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამთამადნო მუშების კონფლიქტში როგორც ომის წინეთ, ისე შემდეგაც. იგი იყო წევრი ტრედუნიონების კონგრესის საპარლამენტო კომიტეტისა და ითვლებოდა პარლამენტარიზმის დამცველათ.

ბენ ტილეტი ყველაზე მცხოვანი წევრი დელეგაციისა. პროფმოძრაობაში მუშაობს იგი ოთხმოციან წლებიდან. იყო მონაწილე და ხელმძღვანელი ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლისა ორმოცი წლის განმავლობაში. ტომ მანთან და ბერნსთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა გემბზე მომუშავეთა ისტორიულ გაფიცვას ლონდონში 1889 წელს. მისი აღფრთოვანებული მიმართვა გულლის კონგრესზე საერთაშორისო გაერთიანების შესახებ, საუკეთესო დამახასიათებელია მისი. მიუხედავათ მისი ხნოვანებისა, იგი ადვილათ ეთვისება თანამედროვე მიმდინარეობას და აქნობამდის ითვლება დაუღალავ და ენერგიულ მუშაკათ პროლეტარიატის მოძრაობაში.

ჯ. ბრომლეი ითვლება ორთქლმავალების მემანქანეთა გაერთიანების მეთაურათ. მომხრეა ტრედუნიონების მემარცხენე ფრთისა. ტრედუნიონისტების კონგრესზე დიდ როლსა თამაშობდა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების კამათში. მიმდინარე წლის იანვარში იგი მეთაურობდა ორთქლმავალების გაერთიანებულ მემანქანეთა გაფიცვას, რომლებმაც არ მიიღეს რკინისგზის მუშათა გაერთიანების მიერ გამომუშავებული პირობები.

ფრედ ბრომლეი. დელეგაციის მდივანი ტრედუნიონების გენერალურ საბჭოს მდივანი. ვენაში მომხდარ ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე იგი იყო მომხსენებლათ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან მოლაპარაკების შესახებ. გულლის კონგრესზე მან წამოაყენა პროექტი „საწარმოოს მუშების ხარტიისა", რომელიც ითვლება ინგლისურ პროფმოძრაობის პირველ სამოქმედო პროგრამათ. ხელობით—აეჯეულობაზე მომუშავეა.

ტერნერი წარმოადგენს იუნიონებს, რომელთაც მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. მის დახმარებას მაინც არსებითი მნიშვნელობა აქვს პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

საფრანგეთის კომპარტია და ქართველი მენშევიკები

პარიზი, 28. ნოემბ. საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო პარიზში მიტინგი საქართველოს ამბების გასარკვევლად. მიტინგზე მოწვეული იყვნენ ვანდერველდე და რენოდელი, რომლებიც არ გამოცხადდნენ.

ხალხით გაჭედილი დარბაზი ერთსულოვანი ტაშისცემით ხვდებოდა კომუნისტ ორატორებს.

დორიომ გააკრიტიკა მეორე ინტერნაციონალის როლი საქართველოს ამბებში და განაცხადა, რომ თუ საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტი მოხდა, საფრანგეთის კომუნისტები [illegible] მშრომელთა რესპუბლიკის [illegible] ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ განცხადებას [illegible] ტაშისცემით შეხვდა.

[illegible] ლაპარაკობდა მენშევიკების მოღალატეობა საქართველოს მიმართ და ხაზგასმით აღნიშნა, წითელი არმიის ნაწილების შესვლა საქართველოში მოხდა თვით საქართველოს რევოლიუციონური პროლეტარიატის და მისი პარტიის მოთხოვნით.

უცნობმა უპარტიო ქართველმა და დამფუძნებელი კრების ყოფილ დეპუტატმა გობეჩიამ სცადეს გამოსვლა, მაგრამ მათ გამანადგურებელი პასუხი გასცა ტრენმა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს ვანდერველდეს და რენოდელის მიერ ლაჩრულად უარის თქმას მიტინგზე მონაწილეობაზე და სოლიდარობას უცხადებს საქართველოს და საბჭოთა კავშირის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან კომპარტიის დროშის ქვეშ.

ჩვენი საგზაო მშენებლობა

მოსკოვი. 28 ნოემბ. ტრანსპორტის მუშათა სრულიად საკავშირო ყრილობაზე, 27 ნოემბერს მოსმენილ იქნა ადგილობრივ ტრანსპორტის ორგანოების მოხსენება.

ადგილობრივ ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს ანგარიშიდან სჩანს, რომ 1925 წლისათვის განზრახულია შემოტანილი იქნას საზღვარგარეთიდან 350 მანქანა—უმთავრესად საბარგო ავტომობილები. საბჭოთა კავშირის ავტოტრანსპორტის განვითარება დაკავშირებულია საკუთარ ავტო-მშენებლობის ორგანიზაციის საკითხთან.

საგზაო მშენებლობის დარგში მცირეოდენი თანხების გადადება მოძრაობისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში ჩააყენებს გზებს და ხიდებს.

პლენუმმა აგრეთვე პროფკავშირთა და გზათა სახ. კომისარიატის ყურადღება მიაქცია შრომის დისციპლინის საკითხს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახელმწიფოებრივი მრეწველობა.

მოსკოვი. 29 ნოემბ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს საბიუჯეტო-საფინანსო სექციამ განიხილა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტი სახელმწიფო მრეწველობის ახალ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესახებ. პროექტის მიხედვით სახარჯო მოგების გამოანგარიშების არსებული სისტემა შეცვლილი იქნება კომერციულ მოგების სისტემით.

სექციამ აღიარა, რომ გამოანგარიშების ძველ სისტემას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობის დროს და მიიღო სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პროექტი.

უკრაინა

ახალგაზრდების კომუნისტური ინტერნაციონალის 5 წლის თავი ხარკოვში.

ხარკოვი. 29 ნოემბ. შესდგა უკრაინის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ხარკოვის ორგანიზაციის საზეიმო სხდომა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად.

სხდომას მისალმა უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. პეტროვსკი. შემდეგ ახალგაზრდობის კომინტერნის ალმასკომის და ინგლისის მშრომელი ახალგაზრდობის სახელით მისალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. იანგმა. თავისი სიტყვის დამთავრების შემდეგ, ამხ. იანგმა ხარკოვის კომკავშირელებს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის ალმასკომის სახელით გადასცა ფაშისტური დროშა, რომელიც იტალიელმა კომკავშირელებმა წაართვეს ფაშისტებს მილანში. „დროშა მწვანე ფერისაა,—სთქვა ამხ. იანგმა,—მაგრამ ის შეღებილია იტალიელ კომკავშირელების სისხლით, რომლებმაც გადაიტანეს სასტიკი ბრძოლა ფაშისტებთან. ვაბარებ [illegible] დროშას კომკავშირის ხარკოვის ორგანიზაციის—ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში,—ჩვენ გვრწამს, რომ საჭირო შემთხვევაში კომკავშირის ხარკოვის ორგანიზაცია დახმარებას გაუწევს კომკავშირელების მსოფლიო მოძრაობას".

მუშკორის მოწამვლის ცდა.

ლენინგრადი. 29 ნოემბ. „ვოლხოვსტროი"-ში მუშკორ პეტროვს საჭმელში შეაპარეს საწამლავი. თავის დროზე მიღებული ზომების წყალობით, პეტროვი გადარჩა სიკვდილს.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი ამხ. ტროცკის გამოსვლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა რაიკომების პლენუმების და თბილისის ორგანიზაციის აქტივისტების თანდასწრებით, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება და გაეცნო რა ამხ. ტროცკის უკანასკნელ ლიტერატურულ გამოსვლებს, სთვლის ამ გამოსვლებს, დისკუსიის განახლებად, რომელიც მიმართულია პარტიის მტკიცე მთლიანობის წინააღმდეგ.

ამხ. ტროცკის გამოსვლებს, რუსეთის კომპარტიის დღევანდელ ცეკას ლენინურ ცენტრის წინააღმდეგ, რომელ გამოსვლაც ხელოვნურად დათარიღდა ტროცკის ლამაზი ლიტერატურული სტილით, საფუძვლად უდევს [illegible] ლენინიზმი [illegible] ანტიბოლშევიკურ შეხედულებებით პროლეტარულ რევოლიუციის მიმდინარეობაზე და დასრულებაზე. ძლევამოსილ პროლეტარულ გადატრიალების ლოზუნგების მოწყენის და განმტკიცების საქმეში კომუნისტურ პარტიის მნიშვნელობაზე და ლენინელი [illegible] გვარდიის როლზე [illegible] ბოლშევიკურ პარტიის შეგნება.

პარტია თავის რიგებში ნებას არავის მისცემს ხელახლა დაიწყოს ლენინიზმის რევიზია, ძირი გამოუთხაროს, სახელი გაუტეხოს ბოლშევიზმს.

„ოქტომბრის გაკვეთილები" და ამხ. ტროცკის სხვა ლიტერატურული წერილები ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს, რომელიც ეხება თვით ოქტომბრის რევოლიუციას, ამახინჯებს ამავე დროს ბოლშევიზმის ისტორიასაც, არასწორად და არალენინურად აყალიბებს ბოლშევიზმის განვითარებას და ყურადღებით სტოვებს ოქტომბრის წინაამორბედ პარტიის ისტორიას. მხოლოდ ბოლშევიზმის ყურადღებით შესწავლა მთელი მისი არსებობის და განვითარების პერიოდში მოგვცემს პარტიის სრულს და სწორ ისტორიას, რომელმაც ოქტომბრის გამარჯვებამდე მიიყვანა იგი.

თავის გამოსვლებით ამხ. ტროცკი კისრულობს ინიციატივას განაახლოს შარშანდელი დისკუსია, რომელიც უკვე დასრულდა პარტიულ კონფერენციის და 13 პარტყრილობის გადაწყვეტილებებით. პარტია არა თუ არ გრძნობს მოთხოვნილებას განიმეოროს ის დისკუსია, არამედ მას იგი სთვლის პარტიისათვის და რევოლიუციისათვის სახიფათოდ.

გმობს რა ამხ. ტროცკის გამოსვლებს, კრებას საჭიროთ მიაჩნია დაიწყოს იდეური ბრძოლა პარტიაში ტროცკიზმის გაჩენის წინააღმდეგ, დაიწყოს ბრძოლა, რომელიც დამყარებული უნდა იქნას ფართო პარტიულ მასის მიერ ჩვენი პარტიის ნამდვილ, არა შეთხზულ ისტორიის, და მრავალ წლების განმავლობაში მენშევიზმის და ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესწავლაზე. ამასთანავე საჭიროა ოქტომბრის რევოლიუციის ნამდვილ ისტორიის დაწვრილებითი შესწავლა, რევოლიუციის, რომელიც წარმოადგენს ლენინის, მთელი კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის ავანგარდის და ცენტრალური კომიტეტის ისტორიას, რომელმაც თავის ბელად ლენინთან ერთად გამოსჭედა ძლევა-მოსილ ტაქტიკის და სტრატეგიის იარაღი.

კრება გამოსთქვამს რწმენას, რომ პარტია ამ შემთხვევაშიაც ერთსულოვნად გაილაშქრებს ტროცკიზმის და უეჭველად გადახრის წინააღმდეგ და ბოლშევიზმ-ლენინიზმის სიმტკიცეს დაიცავს.

კრებას დაესწრო 200-ზე მეტი ამხანაგი.

რეზოლიუცია მიღებული იქნა ერთხმად; ერთმა თავი შეიკავა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი—[illegible].

რ. კ. პ. ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტი ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის შესახებ

ლენინგრადი. 29 ნოემბ. ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის შესახებ:

შარშანდელი დისკუსია გამოწვეული ამხ. ტროცკის გამოსვლით დამთავრდა მეცამეტე პარტიული ყრილობის ერთსულოვანი დადგენილებით. ამხ. ტროცკიმ აღუთქვა ყრილობას, რომ დაემორჩილება მის დადგენილებებს. გავიდა მცირე დრო და ამხ. ტროცკიმ გაილაშქრა არა მარტო პარტიის, არამედ კომინტერნის დადგენილებების წინააღმდეგ და თავისი საკუთარი განსაკუთრებული ოპორტიუნისტული პოზიცია დაიჭირა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

ახლა ამხ. ტროცკიმ გამოაქვეყნა [illegible]—[illegible] საგუბერნიო კომიტეტი შემდეგნაირად აფასებს: წიგნი წარმოადგენს ლენინიზმის შეცვლას ტროცკიზმით, რომელსაც ლენინი და ყველა ბოლშევიკები აფასებდნენ როგორც მენშევიზმის ერთ-ერთ სახეს. რამდენადაც წიგნში ლაპარაკია ოქტომბრის აჯანყებაზე,—მასში პარტიის როლი შეცვლილია პიროვნების როლით, წიგნი ამახინჯებს ურთიერთობას ცენტრალურ კომიტეტსა და ლენინს შორის და ცდილობს დააყენოს ტროცკი (რომელიც ოქტომბრის გადატრიალებამდე ორი თვით ადრე შემოვიდა პარტიაში) პარტიის ზევით, წიგნის ნამდვილი დანიშნულება და აქტუალური მიზანი კი არის—პარტიაში შარშანდელი დისკუსიის განახლება ტროცკის პირადი თუ ფრაქციული შეხედულებების გულისათვის და ც. კ. და საერთოდ პარტიისა და მისი მთავარი კადრების ავტორიტეტის შესუსტება. პარტიის წინაშე აუარებელი სამუშაოა. მუშებს არ სურთ ასეთი დისკუსია. უარყოფს რა ასეთს დისკუსიას, პარტიას შესწევს ძალა, ღირსეული პასუხი მისცეს მათ, ვინც ძირს უთხრის ლენინიზმის საფუძვლებს და უზრუნველყოფს ჩვენი პარტიის ნამდვილ ლენინისებურ ხასიათს.

ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტი სთხოვს პარტიის ც. კ. [illegible] ამხ. ტროცკის [illegible] გამოსვლის შესახებ დააყენოს ც. კ. [illegible] და მიიღოს ყველა ზომები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს უზრუნველყოფენ, რომ ამხ. ტროცკი დაემორჩილება პარტიის დადგენილებებს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, 2) ჩატარდეს ყველგან, სადაც ეს საჭიროა, ფართო განმარტებითი — პროპაგანდისტული მუშაობა საერთოდ ტროცკიზმის და კერძოდ ამხ. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლების ანტიბოლშევიკური ხასიათის გამოსარკვევად.

მუშათა კლუბები უნდა დადგნენ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე

ყველასათვის ცხადია ის, თუ როგორ დიდ როლს თამაშობენ ჩვენი კლუბები მშრომელი მასების გათვითცნობიერების საქმეში.

მაგრამ აქ ამ თავითვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, რომელსაც უმთავრესად აწარმოებენ ჩვენი მუშათა კლუბები, არას შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩეს სამეურნეო და სამრეწველო სხეულის გამოცხოველება-განვითარებას. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ამ გარემოებას უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება.

სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სხეულის გაჯანსაღება, რომელსაც ჩვენ ამ ჟამად თვალსაჩინოდ და საგრძნობლად ვამჩნევთ, უნდა გახდეს ძირითად ფაქტორად იმისათვის, რომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე. ეს მით უმეტეს, რომ სოციალიზმის შენება და ბრძოლა კომუნიზმისათვის სავსებით წარმოუდგენელია, თუ კი არ ავამაღლეთ მასების კულტურული განვითარების დონე და ამასთანავე არ შევასისხლხორცებიეთ მათ პროლეტარული იდეოლოგია.

სწორედ ამისათვის მუშათა კლუბები უნდა გარდაიქმნენ იმ იარაღად, რომელიც გამოსჭედს ჯანსაღ პროლეტარულ საზოგადოებრიობას, რომელიც გარდაიქმნება კომუნისტური პრინციპებზედ აღზრდელობის ცენტრად და თავის გავლენას შემოხვევს არა მარტო კლუბის მასშტაბით, არამედ ღრმად შეიჭრება ფართო მასებშიაც. ასეთი უნდა იყოს ძირითადი ამოცანა ჩვენი მუშათა კლუბებისა. და ამ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ საერთოდ და მთლიანად ჩვენი საკლუბო მუშაობა აქეთკენ არ იყვეს წარმართული. არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ მუშათა კლუბების ქსელი თანდათანობით არ ფართოვდებოდეს და ძლიერდებოდეს. მაგრამ ამასთანავე, თუ კი უწინ სამუშაოდან დაბრუნებული მუშა და გლეხი უმიზნოთ და უსარგებლოდ იყენებდა თავის განკარგულებაში დარჩენილ დროს, დღეს ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს მუშა და ეს გლეხივე სრულიად შეგნებულად და მიზანშეწონილად [illegible] რამდენადაც ისინი მიდიან თავიანთ [illegible] კლუბებში, მათ [illegible], რომ იქ მიიღებენ პასუხს ყველა მათთვის საჭიროოროებო საკითხებზე. და არამც თუ მარტო მუშა და გლეხი, არამედ მათი ცოლებიც და დიასახლისებიც უკვე მიეშურებიან კლუბებისაკენ. მათ გაიგეს კლუბების დიდი მნიშვნელობა, მათ შეიგნეს, რომ თვით ეს კლუბები ემსახურებიან მათ ინტერესებს და მათ გათვითცნობიერების საქმეს. დღეს მასიური ლტოლვა კლუბებისაკენ საუკეთესო თავმდებია იმისა, რომ ახალი ყოფა-ცხოვრება იმარჯვებს ძველ ყოფა-ცხოვრებაზედ, სიბნელის და ცრუმორწმუნეობის ნაცვლად ფეხს იკიდებს განათლება და მეცნიერება; მოკლეთ რომ ვსთქვათ, ძველი დახავსებული აზროვნება და ცხოვრება ადგილს უთმობს სიცოცხლით სავსე ახალს აზროვნებას და ცხოვრებას. ამაშია ჩვენი გამარჯვებაც.

მაგრამ საკლუბო მუშაობას თავის მხრივ თან ახლავს ნაკლულევანებანიც. ზოგიერთებს აქ კიდეც აღვნიშნავთ. პირველი ის, რომ ხშირად ჩვენი საკლუბო მუშაკნი [illegible] ყველგან მიმართავენ ამა თუ იმ უძლიერეს ორგანოებს იმის შესახებ რომ მათ არა აქვთ ნივთიერი სახსარი საკლუბო მუშაობის გაძლიერებისათვის. რასაკვირველია, თავისთავად მართალია განცხადება და ამას უნდა მიექცეს საჭირო ყურადღებაც, მხოლოდ ამასთანავე ერთად საქმე ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ კლუბის მუშაკების საშუალებით შესაძლებელი გახდეს მათ განკარგულებაში არსებული თანხით მეტის გაკეთება და მიღწევა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში როდესაც საკლუბო მუშაობაში ჩააბამთ კლუბის აქტიურ წევრებს. [illegible] კლუბის წევრების თვითმოქმედება—აი რაზედ უნდა იზრუნონ კლუბებმა, რომ ისინი დადგნენ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე.

მეორეა ის, რომ წრეობრივი მუშაობა, რომელიც სწარმოებს კლუბებში, გადატანილ იქნას წრეების გარეშეც, ისე რომ ამავე წრეების ხელმძღვანელობით იმართებოდეს საღამოები, კითხვა-პასუხები, საუბრები, საწარმოო გამოფენები, სურათები და სხვ.

მესამე ის არის, რომ საკლუბო მუშაობის საერთო შინაარსი უახლოვდებოდეს და უკავშირდებოდეს სადღეისო პოლიტიკურ ამოცანებს. მაგ. დღეს, შრომის ნაყოფიერების და წარმოების გაუმჯობესების, სოფლის გლეხკაცობასთან მჭიდრო კავშირის დამყარების საკითხები უნდა გახდნენ ჩვენი საკლუბო მუშაობის მთავარ საკითხებად.

მეოთხე კი არის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საკლუბო მუშაობაში ამ საკითხს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს და ამ მიმართულებით სათანადო პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგას.

ამ შემოჩენილ მომენტებს უნდა მიექცეს ყურადღება და მაშინ მუშათა კლუბებს დავაყენებთ თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე და კულტურულ-განმანათლებელ ამოცანებს, რომლებიც მას აქვს დასახული, მიზანშეწონილად გავატარებთ ცხოვრებაში.

შ. ა—ძე.

ახალი საქართველო

3 NOVEMBRE 1924 № 1

[illegible] ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით
Journal Géorgien „La Géorgie Nouvelle" Directeur G. Vechapéli.
პარიზი [illegible] 1924
ფასი 1 ფრანკი
Prix: 1 fr. ADRESSE „Géorgie Nouvelle" Imprimerie Dantzig 20 rue des Francs-Bourgeois PARIS

[illegible]

(ქართული რეალური პოლიტიკისათვის)

ძნელია გრძნობების დამორჩილება და ცივი გონებით ლაპარაკი, როცა ჩვენ, უცხოეთში მყოფ ქართველებმა, ჯერაც არ ვიცით, რომელი ჩვენი ნათესავი ან მეგობარი ჩააწვინა საფლავში „დამოუკიდებლობის კომიტეტის" საშინელმა ავანტიურამ.

აჯანყების შემდეგ*)

(ქართული რეალური პოლიტიკისათვის)

ძნელია გრძნობების დამორჩილება და ცივი გონებით ლაპარაკი, როცა ჩვენ, უცხოეთში მყოფ ქართველებმა ჯერაც არ ვიცით, რომელი ჩვენი ნათესავი ან მეგობარი ჩააწვინა საფლავში „დამოუკიდებლობის კომიტეტის" საშინელმა ავანტიურამ.

მაგრამ პოლიტიკაში არაფერია ისე დამღუპველი, როგორც სუსტი გრძნობები და სანტიმენტალიზმი.

რეალური პოლიტიკა მოითხოვს სინამდვილის დროზე გაგებას, დროზე თქმას და დროზე გაკეთებას.

ისე უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვინდა, რომ დღევანდელ საფლავებს ხვალ კიდევ ახალი მიემატოს და ბოლოს ამ საფლავებმა ისე არ გადასწონოს ცოცხლების რიცხვს, როგორც ეს მოუვიდა ჩვენს მეზობელ სომხეთს დაშნაკცაკანური პოლიტიკის წყალობით.

* *

უნდა ითქვას ის, რასაც გულში ფიქრობს დღეს ყოველი გონიერი ქართველი: ინტელიგენტი, მუშა და გლეხი—რომ შემცდარია მენშევიკების და მათთან მოკავშირე პარტიების ანტიბოლშევიკური ფრონტის პოლიტიკა, რომელმაც მიგვიყვანა აჯანყებამდის და მაშასადამე,—უნდა მოხდეს ლიკვიდაცია როგორც ამ პოლიტიკისა, ისე მასთან დაკავშირებულ პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციებისა, აქ და საქართველოში.

რასაკვირველია, ამის თქმით არ მინდა უარვყო საკუთარი პასუხისმგება, mea culpa იმისა, რაშიც ამ ანტიბოლშევიკურ პოლიტიკაში მე თვითონ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ საბედნიეროდ ჩემი დატა მენშევიკურ ძველ მთავრობასთან გაყრისა იმდენად დაშორებულია აჯანყების დღეს, რომ მორალურად მეტ გაბედულებას ვგრძნობ ასეთი ოპერაციის დროს.

ჩემი თანამშრომლობა მენშევიკურ ძველ მთავრობასთან გათავდა ამა წლის მაისის 18, როცა ნ. ჟორდანიამ მიიღო და ძალაში შესულად გამოაცხადა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" დადგენილება პარიზში არსებულ „დამფუძნებელი კრების გაფართოებულ პრეზიდიუმის" გაუქმების შესახებ.

ეს ინტერპარტიული კოლეგია დაარსდა პარიზში 1922 წ. 15 მარტს ს. დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და სოც.-ფედერალისტების კონფერენციაზე დადებულ ხელშეკრულების ძალით.

როცა შემდეგ თვით საქართველოში დადებული ახალი ინტერპარტიული შეთანხმების ძალით (სოც. რევ. და „სხივლების" წამატებით) დაარსდა „დამოუკიდებლობის (პარიტეტული) კომიტეტი"—პარიზის ინტერპარტიული კოლეგიის როლი ძლიერ შეიზღუდა ფაქტიურად, ხოლო ამ წლის 27 მარტის დადგენილებით „დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მთლად, ფორმალურადაც გააუქმა ეს ორგანო, და ამით ერთგვარად მაინც პასუხისგება მოაშორა მის წევრებს იმაში, რასაც შემდეგ „დამ. კომიტ." იქ და მენშევიკური ცენტრი აქ თავიანთ შორის აკეთებენ.

* *

რომ ანტიბოლშევიკურ ფრონტის პოლიტიკა, რომელმაც მენშევიკებთან ერთად რაღაც ფატალიზმით დაადგენ 1921 წელს ნაციონალ-დემოკრატიული და სხვა პარტიები,—არ იყო რეალური, ეს არა ერთხელ მიგვრძნია მას შემდეგ, რაც ბათომი დავტოვე (12 დღით უფრო გვიან მენშევიკებზე).

დენიკინის, კოლჩაკის და ვრანგელის დამარცხების შემდეგ თავიდანვე საეჭვო სჩანდა ის ანტიბოლშევიკური ანტრეპრიზა, რომელსაც, 1921 წ. იწყებდა ნ. ჟორდანიას პარტია. მართალია, ეს ანტერპრიზა იწყებოდა ნაციონალური და არა სოციალური ბრძოლის ბაირაღის ქვეშ,—მაგრამ ჩვენთვის თავიდანვე სუსტი იყო სტაჟი მენშევიკური პარტიისა ირლანდიური მეთოდებით ბრძოლისათვის; გვახსოვდა, რომ ნ. ჟორდანიას პარტია რამდენიმე თვეს დაობდა, საჭირო იყო თუ არა დამოუკიდებელი საქართველო. მაშინ, როცა [illegible] იშვიათად დამოუკიდებელი იყო, რადგან ძველი რუსეთის და ძველი ოსმალეთის ჯარები რამოდენიმე ასი კილომეტრით მოშორდნენ ჩვენს საზღვრებს; გვახსოვდა, რომ მენშევიკურმა პარტიამ სახელმწიფო არსენალის და ძალა-უფლების თითქმის უფასოდ ხელში ჩაგდების შემდეგ ვერ ისარგებლა ისტორიული ანტრაქტით და როცა საქართველოს საზღვრებზე გაჩნდნენ ახალი რუსეთის და ახალი ოსმალეთის რეალური ძალები,—მენშევიკებს ამ დროს არავითარი ორგანიზაცია და აპარატი სამხედრო თავდაცვისა არ აღმოაჩნდათ მომარაგებული... და ამგვარად გახუნდა ნ. ჟორდანიასთვის წინდაწინ დამზადებული ტიტული „ნოე აღმაშენებელისა".

ყველაფრის ამის მოწმეთ, რასაკვირველია, ჩვენ დიდი იმედი არ უნდა გვქონოდა იმის, რომ მენშევიკური პარტია შინაური გადატრიალებით—აჯანყებით—შეძლებდა საბჭოთა ჯარის და რეჟიმის დამარცხებას. მართლაც, როგორ შეიძლება, სახელმწიფო აპარატის, ტეხნიკის და ფინანსების დაკარგვის შემდეგ იმისი ხელში ჩაგდება, რაც თავის დროზე ვერ დაიცავი, თუმცა ყოველივე ეს ხელში გქონდა?

და თუ ჩვენ მენშევიკების ფრონტს მაინც დავუკავშირდით, არა იმიტომ რომ მათი [illegible], რევოლიუციური, ირლანდიური პათოსის იმედი გვქონდა, არამედ იმიტომ რომ ჩვენ გვჯეროდა გარეშე, საერთაშორისო ფაქტორების დახმარება.

ვანგარიშობდით იმას, რომ საბჭოთა რუსეთი არ იყო ცნობილი იურიდიულად არც ერთი დიდი სახელმწიფოს მიერ (1921) და ამ საკითხის გადაწყვეტამდის მოსალოდნელი იყო ყოველნაირი კომბინაცია, მიმართული საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიული [illegible]

ევროპაც იმედიც ჰქონდა, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობის დროს ანტანტა პირდაპირ მოითხოვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაციას, რადგან საქართველო „de iure" ცნობილი იყო,—ხოლო მე პირადათ ეს დიპლომატიური ხსნა არასოდეს არ მიწამია, რადგან საქართველოს ძველი მთავრობა სავსებით და ნამდვილათ ნაცნობი იყო მხოლოდ საფრანგეთის მიერ, ეს იგი სწორედ იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის პოლიტიკა არასოდეს არ ყოფილა მიმართული რუსეთის კავშირის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში, რადგან ამით თავდაჭრელად ისარგებლებდა საფრანგეთის კონკურენტი ინგლისი; ამ დიპლომატიური ხსნის იმედის პირველად გაბათილების მოწმე გახლდით გენუის კონფერენციის დროს, ხოლო დღეს ეს ყველასთვის აშკარა და უდავო გახდა, როცა ვხედავთ, რომ საფრანგეთი სცნობს საბჭოთა რესპუბლიკებს გარეშე ყოველგვარი „რეზერვისა" იურიდიულად ნაცნობ საქართველოს ძველი მთავრობის შესახებ; კიდევ უფრო ნაკლები იმედი იყო რასაკვირველია მე-2 ინტერნაციონალის ან „ერთა ლიგის" დახმარებისა, რადგან ამ პატივცემულ დაწესებულებებს, როგორც მოგეხსენებათ, არავითარი შეიარაღებული გავლენა არ მოეპოვებათ, არც მიწაზე, არც ზღვაზე, და არც ცაზე.

არა, ჩვენ იმედი გვქონდა მხოლოდ საერთაშორისო რეალური ფაქტორებისა, რომელთა ინტერესი და მატერიალური ძალის დაკავშირება შეიძლებოდა ქართულ ანტიბოლშევიკურ საქმესთან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს იყო ცუდათ ნაანგარიშევი.

ამ სამი წლის განმავლობაში სწორედ [illegible] გორ ჰქრებოდა როგორც მიჩვენება, ყველა ის ანტიბოლშევიკური რეალური კომბინაცია, რომლითაც შეიძლებოდა საქართველოში წითელი ჯარის და წითელი რეჟიმის დამარცხება.

ჯერ იყო და ოსმალეთის ინტერვენციის მირაჟი.

გვეგონა, რომ ანგორა, როგორც კი მოიშორებდა ბერძნების ომს,—მაშინვე რუსის ჯარს გაუმართავდა ფრონტს კავკასიის საზღვრო სახელმწიფოს შესაქმნელად; მაგრამ ეს მირაჟი ჩემთვის ჯერ კიდევ სტამბულში ყოფნის დროს გაქრა; ანგორის მთავრობასთან ახლო მდგომი პირები პირდაპირ ლაპარაკობდნენ გულახდილ საუბარის დროს, რომ ოსმალეთი, რაც უნდა ძლიერი იყოს იგი, არასოდეს არ დაუწყებს ომს რუსეთს, თუნდაც დასუსტებულს; რომ ანგორას არაფრად ეჭაშნიკება მენშევიკური საგარეო პოლიტიკის საქართველოს რესტავრაცია, რადგან იგი შეიძლება გამოიყენოს ინგლისმა როგორც ბაზა ოსმალეთის ზურგში [illegible] ექსპედიციების მოსახდენად, რომ ერთად ერთი მომენტი, როცა ოსმალეთი შეიძლება ჩაერიოს კავკასიის საქმეებში,—ეს მაშინ, თუ რუსეთში კრიზისი მოხდა და წითელმა ჯარმა თავისით მიატოვა კავკასიის ფრონტები.—მაშინ თავისუფლად დარჩენილ კავკასიის რესპუბლიკებს [illegible] პროტექციის ლოზუნგით მოვა თურქის ჯარი, მაგრამ თუ ეს ურუსეთო ანტრაქტი გრძელი შეიქნა, იგი ისეთ ოპერაციებს მოახდენს საქართველო—სომხეთში, რომ კავკასიაში [illegible] უდავოთ ოსმალეთის მონათესავე ხალხებს დარჩეს და თვით კავკასია შეიქმნეს [illegible] ჯაჭვი პანთურქისტულ იმპერიისა ოსმალეთსა და კასპიის იქითა თურქესტანის შორის. მივხვდი იმასაც, რომ ოსმალეთს მუდამ აწუხებს ქართული ირედენტა (ლაზისტანი) და საერთოდ საქართველო რომ დიდ ხანს დარჩეს tête à tête თურქებთან ეს მეორე სომხეთის ბედს გვიქადის...

* *

ოსმალეთის შემდეგ [illegible] კონსერვატორული ინგლისის ილიუზიებზე. გვეგონა [illegible] ლოიდ-ჯორჯი [illegible] და ინ[illegible] ტრადიციული ანტირუსეთული პოლიტიკა ბიკონსფილდისა, რომელიც ოცნებობდა კავკასია-სპარსეთ-თურქესტანით ახალი გზის გაკაფვას ინდოსტანისკენ.*)

მაგრამ ლონდონში სამი თვის ცხოვრების დროს დავრწმუნდი რომ ბიკონსფილდის ინგლისი სხვა და დღევანდელი ექვს მილიონიანი პროლეტარიატის ინგლისი კიდევ სხვაა. რომ ინგლისს იმ სამანდატო ტერიტორიების მონელებაც უჭირს, რომელიც მას ვერსალის ზავით ერგო; და რომ თვით კონსერვატორული ინგლისის იმპერიალიზმის დღევანდელი მაქსიმუმი,—ესარაბეთის (ჰეჯას-ტრანსიორდანია-მესოპოტამიის) სამეფოების შენახვაა, რადგანაც ამ გზით მოწყობილი საჰაერო და სხვა ტრანსპორტი ეგვიპტესა (სუეცის არხი) და ინდოეთის ოკეანეს (სპარსეთის ყურე) შორის საკმარისად უზრუნველყოფს ინგლისის სამხედრო კომუნიკაციებს; ამ გზების დაცვაც უძნელდება დღეს ინგლისს, და თვით კერზონს—ან ჩერჩილს არ შეუძლია ამ პირობებში ინდოეთისაკენ კავკასია-სპარსეთ-თურქესტანის გზების იმპერიალისტურ კოლონიზაციაზე ფიქრი.

საინტერესოა ამ მხრივ ერთი ადგილი საქართველოში ინგლისის წარმომადგენლად ნამყოფ კოლონელ Stokes-ის წერილიდან, რომელიც ეხება იმ საკითხს, შეიძლება თუ არა ინგლისის დახმარების იმედი ქართველ ანტიბოლშევიკურ მოძრაობისთვის. (ამ დროს ინგლისში კონსერვატორული მთავრობა იყო).—„ერთი რამ ცხადია, მწერდა სტოკსი, (1923 წლის აპრილში), რომ თუ თქვენმა ამხანაგებმა რაიმე აქტიური ნაბიჯი გადადგეს, ისინი ვერ მიიღებენ აქედან მატერიალურ დახმარებას (no material support) და თვით მორალური დახმარებაც საეჭვო იქნებაო (doubtful)"...

* *

ოსმალეთისა და ინგლისის ილიუზიების გაქრობის შემდეგ ევროპაში რჩებოდა მხოლოდ ერთი პერსპექტივა—ეს იყო ფაშიზმი, რომელმაც სწორედ ამ დროს გაშალა თავისი შავი დროშა იტალიაზე და რომელიც თითქოს მსოფლიო რევოლიუციის მაგიერ მსოფლიო რეაქციას უქადდა [illegible] ევროპას. გვეგონა რომ მუსოლინი იტალიის ბოლშევიზმზე გამარჯვების შემდეგ [illegible] მასშტაბით შეებრძოლებოდა მესამე ინტერნაციონალს. მაგრამ ფაშისტებთან პირველ შეხვედრისთანავე გამოირკვა ჩემთვის, რომ [illegible] ამათ არ უნდა ველოდეთ რეაქციონერ ნაპოლეონს; რომ მუსოლინი ებრძვის კომუნიზმს მხოლოდ იტალიის საზღვრებში სახელმწიფო ძალაუფლებისათვის; ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი ტრადიციულ იტალიურ ინტერესებს მისდევს; ეს ინტერესები კი მიმართულია იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთა ფლოტი ედავება იტალიის ბატონობას—ხმელთა შუაზღვაში (იტალიელები მას mare nostra-ს ეძახიან); რუსეთი კი არასოდეს არ ყოფილა ასეთ მოპირდაპირე სახელმწიფოთა რიგში.

ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ ევროპაში ქართულ ანტიბოლშევიკურ ფრონტს არც ერთი დამხმარე რეალური ძალა აღარ ჰყავს. საჭირო იყო, ან ამ ფრონტის მოხსნა, ან მოკავშირეთა ძებნა... რუსების ანტიბოლშევიკურ ძალებში, ესე იგი რეალურად მონარქისტებში... და აი ბედის ირონიით, იმათ, ვინც საბჭოთა საქართველო ანტირუსული ლოზუნგით დასტოვა, უხდებოდა იმავე რუსულ ლაგერში მოკავშირის ძებნა.

ამის ანარეკლი იყო ის საუბარი გ. ალექსინსკისთან, რომელიც დაიბეჭდა „Русская газета"-ში (ეს საუბარი დამახინჯებულად იქნა დაბეჭდილი რედაქციის მიერ). ამის შემდეგ მე მქონდა შეხვედრა ვრანგელის სამხედრო წარმომადგენელთან, მაგრამ აქ უფრო მალე მოხდა ილიუზიის ლიკვიდაცია, გამოირკვა რომ ვრანგელი და მისი ბატონები დიდი მთავრის სახლიდან მხოლოდ გარეგნულად ფაფხურობენ, თორემ ნამდვილად არავითარი აქტივობა არ შეუძლიათ. მათი წინადადება ასეთი იყო—„შეუერთეთ ქართული ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები რუსულს და ვიმუშაოთ ერთად სანამ ერთ-ერთი დიდი მთავარი ყველას მიერ ნიკოლოზის ტახტის მემკვიდრედ იქნება ცნობილი და სანამ იგი ამერიკაში ფონდს შეაგროვებს მთელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისათვის... მაშინ ხომ საქართველოც

---

*) ვათავსებთ სრულიად უცვლელად, როგორც დოკუმენტს, მოქ. [illegible]

სომხეთის გასაბჭოების 4 წლის თავზე

სომხეთის გასაბჭოების ოთხი წლის თავის გამო ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცაკმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სომხეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ამბარცუმიანს და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—ლუკაშინს:

„29 ნოემბერს ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ცაკის სახელით გადაეცით ჩვენი მხურვალე სალამი სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს. აგრეთვე გადაეცით ჩვენი საუკეთესო სურვილები, რომ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ წარმოების განვითარებაში, განამტკიცონ ძმური კავშირი სოფელსა და ქალაქ შორის, დაუახლოვონ ინდუსტრია სასოფლო მეურნეობას. უფრო მჭიდროთ დაკავშირდენ გლეხებს მუშები და განამტკიცონ პროლეტარიატის დიქტატურა კომპარტიის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა სომხეთს თავის გასაბჭოების მეოთხე წლის თავზე!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოც. საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას და რევოლიუციას აღმოსავლეთში!

გაუმარჯოს ლენინიზმს — კომუნიზმს!

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ხ. იაკუბოვი.
საქართ. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

შრომის სახალხო კომისარიატში

შრომის მუშაკთა მეორე ყრილობა

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მოწვეული იქნეს შრომის მუშაკთა მეორე ყრილობა; ყრილობა მოწვეული იქნება არა უგვიანეს 1925 წლის იანვრის 15-სა. დამტკიცებულია დღის წესრიგი, რეგლამენტი და ხარჯთაღრიცხვა.

შრომის ინსპექტორის კამერის მუშაობის გამოკვლევა.

აჭარისტანში საქ. შრომის სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველოს და ქუთაისის შრომის უფროს ინსპექტორის კამერის მუშაობის გამოკვლევის მიზნით შესდგა კომისია, რომელშიაც შედიან შრომის სახ. კომისარიატის საერთო-საორგანიზაციო, შრომის დაცვის და სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებების წარმომადგენლები.

შრომის ბირჟის შტატის გადასინჯვა

შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, შედგენილია ცენტრალური კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს შრომის ბირჟის თანამშრომელთა შტატი. კომისიაში შედიან: ამხ. ბერბერაშვილი, ლეინი და საქ. პროფკავშირთა საბჭოს ერთი წარმომადგენელი.

შრომის მოწესრიგება

(ა.-კ. შრომის სახ. კომისარ. ცნობებით)

შრომის სტატისტიკა

ცენტრ. სტატისტ. სამმართველოში შრომის მდგომარეობის გამოსარკვევად მომუშავე სტატისტიკოსების ნაკლებობის გამო, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომ. საბჭოს წინაშე გადიდებულ იქნეს შრომის სტატისტიკაზე მომუშავე თანამშრომელთა რიცხვი.

შრომის არტელები რკინის გზებზე.

ა/კ. შრომის სახ. კ-მის კოლეგიამ განიხილა საკითხი ა/კავ. რკინისგზებზე სამშენებლო, სარემონტო, სამალიარო, სანავთე მილის შესაკეთებელ მუშაობის საწარმოებლად ა/კავკასიის ერთიანი შრომის არტელის შექმნის შესახებ სცნო რა საკითხი გამოურკვევლად, შრ. სახ. კ-მა გადასწყვიტა შეაჩეროს არტელის მოწყობა ა/კ. მასშტაბით. კოლეგიამ ცალკე რესპუბლიკების შრ. სახ. კომებს წინადადება მისცა საკითხი საერთო ფედერატიულად გათანაბრებული არტელის შექმნის შესახებ და თავისი დასკვნა წარუდგინონ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს.

არტელების ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაყვანა უნდა ხდებოდეს სათანადო შრომის სახალხო კ-მის ნებართვით.

უმუშევართა დახმარებისათვის.

შრ. სახ. კ-მის საშუამავლო ბიუროების მუშაობის ახალ ფორმების შემოღების გამო, ა/კ. შრ. სახ. კ-მა გააუქმა ინსტრუქცია, რომლის ნაცვლად მიიღო ახალი დადგენილება უმუშევრებზე დახმარებების ახალი წესით გაცემის შესახებ.

პურის საცხობთა შესახებ

ა/კ. შრ. სახ. კ-მა წინადადება მისცა რესპუბლიკების შრომის სახ. კ-მებს ჯან. სახ. კ-მებთან ერთად გამოიმუშაონ და გაატარონ განსაკუთრებული წესები პურის სახაბაზოების მოწყობის და შენახვის შესახებ.

შრომის დაცვის თათბირზე.

შრომის დაცვის სრ. საკავშირო თათბირზე გაიგზავნა ა/კ. შრ. სახ. კ-მის წარმომადგენელი.

მუშაკელთა სამუშაო დღე.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა განიხილა საკითხი ა/კავკასიის ყველა რესპუბლიკებში 18 წლის ჰასაკზე მეტ მუშაკელებისათვის ერთგვარი სამუშაო დღის გატარების შესახებ და დაადგინა დასტოვოს უცვლელათ ცალკე რესპუბლიკებში არსებული წესი.

ხანძრის საწინააღმდეგო ზომები ნავთის სარეწაოებზე

ა/კ. შრომის სახ. კ-მა დაამტკიცა აზერბეიჯანის შრომის სახ. კ-ის მიერ წარმოდგენილი განსაკუთრებულ წესების პროექტი ნავთის სარეწაოებზე ხანძრის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

საბჭოთა სასამართლო

„პასუხისმგებელი" მოქალაქეები

26 ნოემბერს ოლქის სასამართლომ ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით, პროკ. თანაშემწე გრიგოლიას და საზოგადოებრივ ბრალმდებლის ქელიძის მონაწილეობით გაასამართლა საგარეჯოს სარაიონო მილიციის უფროსის გიორგი ბიბილურის, საგარეჯოს სათემო აღმასკომის თავმჯდომარის ვლადიმერ თინეიშვილის, ამავე რაიონის პარტკომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის ალექსანდრე ბაიდაშვილისა და კამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრის გრიგოლ გაბრიელოვის საქმე. ბოროტმოქმედების შინაარსი შემდეგია:

წარსული წლის თებერვალში საგარეჯოელმა გლეხმა ვასო ალექსაშვილმა ადგილობრივ მილიციის სამმართველოში შეიტანა განცხადება, რომელშიაც იუწყებოდა, რომ მისი—ალექსაშვილის, შინ არყოფნის დროს მისი ცოლი—ანნა ალექსაშვილისა გაიხიზნა თბილისში. განმცხადებელი სთხოვდა მილიციას დაებრუნებინათ მისთვის ცოლის მიერ მითვისებული და თბილისში წაღებული ქმრის ქონება. მილიციის უფროსის ბიბილურის განკარგულებით ცოლი მოიყვანეს საგარეჯოში. აქ ქალი ჯერ გაათავისუფლეს თავდებობით, შემდეგ ისევ დააპატიმრეს, ხელმეორეთ დაპატიმრების დროს ბიბილურმა განკარგულება გასცა მოეთავსებინათ ქალი სამმართველოს ერთ-ერთ ბნელ ოთახში. ამის შემდეგ პატიმარ ქალს ეწვია მთვრალი ბიბილური მეზობელ ოთახში (სადაც შემთხვევით მოხვდენ ორი ცნობის მოყვარე მოქალაქე) რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოისმა ბიბილურის გამკარგულებელი კილო, ქალის ხვეწნა-მუდარა და შემდეგ ხმაურობა. „პაემანი" გათავდა ქალის გაუპატიურებით. ამ შემთხვევის შესახებ, რამოდენიმე კეთილი ქალის რჩევით, ქალმა აცნობა ინფორპუნქტს. შესდგა კომისია აღმასკომის წევრთა და პარტკომიტეტის მდივნისაგან, რომელმაც საქმის გარჩევის შემდეგ დაასკვნა... ბიბილურის უდანაშაულობის შესახებ. ქალის „ცილისწამება" ვითომ გამოწვეული იყო მილიციის თანამშრომლების ინტრიგებით ბიბილურის წინააღმდეგ.

ოლქის სასამართლომ კი გამოარკვია, რომ კომისიის კვლევა-ძიება აშკარათ ცალმხრივი იყო და სწარმოებდა ბიბილურის გავლენის ქვეშ. ბრალდებულ ბიბილურს, თანახმად ს. ს. კ. 173 მუხლისა, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით სამი წლის ვადით. ამნისტიების შეფარდების შემდეგ პატიმრობის ვადა შემცირდა ერთ წლამდე. დანარჩენ ბრალდებულებთ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით, მაგრამ ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ იქნენ სასჯელისაგან.

მეცნიერება და ტეხნიკა

იალქნიანი გემი უიალქანოდ



მარცხნივ ჩვეულებრივი იალქნიანი ხომალდი, მარჯვნივ ფლეტნერის გემი. მარჯვნივ კუთხეში ზევით—გამომგონებელი ფლეტნერი

ანტონ ფლეტნერი უკვე დიდი ხანია ცნობილია გერმანიაში. მან გამოიგონა ახალი სისტემის საჭე, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს წყლის დინებას.

ამჟამად იუწყებიან მისი ახალი გამოგონების შესახებ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება [illegible] ტეხნიკაში იალქნიანი [illegible] [illegible] და [illegible] მის მაგივრად [illegible] სამი მაგიდან [illegible] ცილინდრულ კოშკს. კოშკს აქვს თერთმეტი მეტრი სიმაღლე, დიამეტრი კი—3 მეტრი. ეს ცილინდრული კოშკი ტრიალებს საშინელის სისწრაფით. კოშკის ასაბრუნებლათ სარგებლობენ სუსტძალიანი პატარა მოტორით. მოტორის საშუალებით კოშკის ბრუნვის სისწრაფეს უთანასწორებენ ქარის სისწრაფეს. თუ ქარი ჰქრის გემის გზის პერპენდიკულიარულათ, ქარი მეტის სიძლიერით აწვება კოშკის წინა ნახევარს, რადგან ის ბრუნავს იმ მიმართულებით, საითკენაც ქარი ჰქრის, კოშკის უკანა ნაწილი კი—მოპირდაპირე მიმართულებით, ქარი და კოშკის ეს ნაწილი ეჯახებიან ერთმანეთს. ამის გამო კოშკის წინა კედელთან ქარი თავისუფლად მოძრაობს, უკანა კედელს კი ეჯახება და ეს ორი მოქმედების შეერთება [illegible] გემს წინ.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფლეტნერმა განაცხადა, რომ მისი გამოგონებით სარგებლობა შეუძლია არა მარტო პატარა ხომალდებს, არამედ დიდ გემებსაც. ქარით სარგებლობის დროს დიდ გემებს შეუძლიათ 91 პროცენტით შეამცირონ სათბობი მასალის ხარჯი და მიიღონ მხოლოდ ქარისაგან 20.000 ცხენის ძალა. ეს 70 პროცენტით შეამცირებს მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადატანის ხარჯებს თუ ქარი ხელს უწყობს, მბრუნავი კოშკებით შეიარაღებული გემი უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე ორთქლმავალი გემი. გემს (ელექტრონის საშუალებით) ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი კაცი, ჩვეულებრივ გემზე კი არის 100—200 მეზღვაური.

გამოანგარიშებულია, რომ ახალი სისტემის გამართულ გემს ჰამბურგიდან შორეულ აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობის დროს შეუძლია ქარის ძალით სარგებლობით დაიზოგოს [illegible] მ. [illegible] ეკონომია.

[illegible] სარგებლობის [illegible] თვითმმართველობა, რომელიც აშენებს 100 მეტრის სიმაღლე კოშკს, რომლის საშუალებით ფლეტნერი იმედი აქვს, რომ 60 პროცენტით გაიაფებ ელექტრონის ენერგიას.

სპეციალისტები ხაზს უსვამენ, რომ უკვე ათასი წელიწადია, რომ არეთი გადატრიალება არ მომხდარა ქარით სარგებლობის საქმეში. გერმანიაში უკვე არსდება რამდენიმე საზოგადოება ხმელეთზე ქარით მამოძრავებელი [illegible] ასაგებათ

ქრონიკა

— **ბაღების გასამშვენიერებლათ** ქ. აღმასკომმა მიმდინარე წელს დახარჯა 8,443 მან.

— **ზაჰესკომმა** დიდუბეში მოაწყო საკუთარი საწყობი, რკინის გზის ჩიხით და ბაქანით.

— **ზაჰესისათვის** ტფ. აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვით 1924—25 საანგარიშო წელში გადადებული იქნება 480 ათასი მან.

— **საქონლის ხნეულებასთან.** საბრძოლველად მაზრებში ქ. აღმასკომმა დაადგინა გადასდოს 3,249 მანეთი.

— **საქ. ცაკმა** წინადადება მისცა განათლების კომისარიატს შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს დებულება სტიპენდიების დანიშვნის და განაწილების შესახებ, რათა სტუდენტებმა და მოსწავლეებმა იცოდენ სტიპენდიის დანიშვნის წესი და აგრეთვე ისიც, რომ სტიპენდიის დანიშვნა შეუძლია მხოლოდ განათლების კომისარიატს და არ მიმართავდენ უმაღლეს ორგანოებს.

— **ქუთაისის საავადმყოფოს** საჭიროებისათვის სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო 1000 მან.

— **სოფლის მუშაკების დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაამტკიცა სასოფლო-მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის გეგმა.

— **ახალი წისქვილი.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა დიდუბეში ააგოს უდიდესი წისქვილი, რომელმაც დღეღამეში უნდა დაფქვას 4000 ფუთი ხორბალი.

— **ქ. აღმასკომს** განზრახვა აქვს მომავალ წელში შეიძინოს 19,200 მან. სასოფლო-სამეურნეო იარაღები,

— **სომხის ბაზრის ქუჩის** გასაფართოებლათ ქ. აღმასკომმა მიიღო ახალი გეგმა.

— **თივის დამზადება.** ცეკავშირი ამჟამად აწარმოებს თივის დამზადების საქმეს. უკვე დამზადებულია 300.000 ფ. თივა.

— **ხეხილის მავნეებთან ბრძოლა** ცეკავშირმა ქართლში—ტყვიავში, ფხვენისის და მეჯვრისხევის რაიონებში მოაწყო ხეხილის მავნეებთან საბრძოლველი პუნქტები.

— **სამხედრო კოოპერაცია.** ქართ. საწ. კოოპერატივი „ევკოგრუზი"-ს გამგეობა ამ დღეებში გახსნის ახალ მაღაზიას 1-ლი უნივერსალურ მაღაზიის გვერდით.

— **საქ. სატყეო ტრესტის** ფოთის განყოფილების განკარგულებაში ამჟამად იმყოფება 7 ქარხანა 15 დაზგით და 5 წისქვილი.

— **ჩათახის მუშების დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ წინადადება მისცა ბორჩალოს დამზღვევ სალაროს დაჩქარებით დააზღვიოს ჩათახის მუშები.

— **საზამთრო აგარაკები.** სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს საზამთრო სეზონისათვის კობულეთის და აბასთუმნის სანატორიუმებში აღებული აქვს 45 ადგილი, სულ განზრახული 135 მუშა-მოსამსახურისათვის.

— **ქ. აღმასკომმა** მიმდინარე საანგარიშო წელში სახლების ასაგებათ გადასდო 199,200 მან.

— **საბჭოთა მუშაკების კავშირთან** 4 დეკემბრიდან იხსნება უცხო ენათა კურსები. მეცადინეობა იწარმოებს ყოველდღე საღამოს 5—7 ს.

— **მოსკოვის კოოპერატორთა** მოსამზადებელ კურსებზე „ზაკსოიუზმა" გაგზავნა 25 კაცი.

— **რადიო-სადგური.** თბილისში უკვე შეუდგნენ ახალ რადიო-სადგურის აგებას. ჩაყრილია ორი რკინის ანძა, თითო 120 მეტრიანი. ერთი ანძა დამზადებულია ლენინგრადის ელექტროტრესტის ქარხანაში.

შემთხვევანი.

— **ქურდობა.** 28 ნოემბერს, რუსის ქ. № 2 გაქურდეს ილია ბიბილაშვილის სახელოსნო. წაღებულია 50 მ. ნივთები.

— 27 ნოემბერს, კაშვეთის ქ. № 15 გაქურდეს მარიამ მარტიროზოვის ბინა

— **გამოტყუება.** 27 ნოემბერს თავისუფლების ქ. № 3 მიხეილ შარაშიძეს ვიღაც უცნობმა გამოსტყუა 50 მ.

— **გატაცება.** 27 ნოემბერს, ნიკოლოზის ქ. № 102, ლიუდმილა არხიპოვას, მისმა ყოფილმა ქმარმა ვასილ დიენკომ მოსტაცა წლინახევრის ქალი და მიიმალა.

— **საწყობის გატეხვა.** 27 ნოემბერს, ჩერქეზიშვილის ქ. № 71, სახლის ეზოში უცნობმა ბოროტმოქმედმა გასტეხა აღმასკომის საწყობი. ნივთების წაღება ვერ მოასწრო.

— **ფულის დაკარგვა.** 27 ნოემბერს, თბ. აღმასკომის ლომბარდის მაღაზიის მოლარეს (სასახლის ქ. № 3) მოპარეს 300 მ

— **პატარა ქურდები,** 28 ნოემბერს; შეიპყრეს მცირეწლოვანი მიხეილ და სერიოჟა ვლასოვები, რომლებსაც უნდოდათ გაექურდათ შალვა ციავას ბინა (ტროცკის ქ. № 3).

ხელოვნება

— **მუკუ ლოლუას** გუნდი ახლო მომავალში გამართავს ხალხურ სიმღერების კონცერტს კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით.

— **„სამი სიცოცხლე".** ორშაბათიდან „არფასტო", „სოლეი" და „აპოლოში" აჩვენებენ „სამი სიცოცხლის" მეორე სერიას.

— **ოპერა.** დღეს, სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენილი იქნება „კარმენ".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს შეცვლილი პერსონაჟით წარმოდგენილი იქნება „ვინძორის ცელქი ქალები". წარმოდგენას დაესწრება ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაცია.

— **ქართველ მსახიობთა** ახალი კოლექტივის მიერ ორშაბათს, 1 დეკემბერს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი". რეჟისორი—ალ. წუწუნავა.

— **ი. ზარდალიშვილის იუბილე** გაიმართება იანვრის 1ს-ს ქუთაისის ქალაქის თეატრში.

— **„ხელოვნების დროშა".** გამოვიდა „ხელოვნების დროშა"-ს მორიგი ნომერი.

— **„თეატრი და ცხოვრება".** გამოვიდა „თეატრი და ცხოვრება"-ს მორიგი ნომერი.

— **„გველის ქვა".** გრიგოლ რობაქიძემ დაამთავრა ახალი [illegible] „გველის ქვა", რომელიც წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრში მიმდინარე სეზონში.

— **ქართველ მხატვართა გამოფენა.** გუშინ 29 ნოემბერს განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა.

— **აკაკის ნაწერების გამოცემა.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა აკაკი წერეთლის რჩეულ ნაწერების პირველი ტომი. მზადდება გამოსაცემათ ორი ტომი.

— **მომღერალთა გუნდი.** პროლეტ სტუდენტთა ბიურომ დაარსა სტუდენტ ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი კორნელი მაღრაძის ხელმძღვანელობით.

— **ქართული კინო-სურათები საზღვარ-გარეთ.** ბერლინში დიდ ინტერესს იწვევს ქართული კინო-სურათები, განსაკუთრებით „სურამის ციხე".

— **„ახალი კავკასიონი"** დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა სრ. საქ. მწერალთა კავშირის ჟურნალი „ახალი კავკასიონი".

— **მოძრავი კინო.** ქ. აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრებში გლეხებისათვის კინო-სურათების საჩვენებლათ შეიძინოს 2 მოძრავი კინო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ორშაბათს, 1 დეკემბერს, სწორედ საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას შენობაში მოწვეულია **მორიგი სხდომა ცეკას საორგანიზაციო კოლეგიისა.**

დღის წესრიგით წამოყენებულია შემდეგი საკითხები:
1 ერთი თვის სამუშაო გეგმის დამტკიცება საორგანიზაციო განყოფილების, საინფ. საპროპაგანდო განყოფილებისა და ქალთა განყოფილებისა. 2) პარტბილეთების ახალი რეგისტრაცია. 3) მიმდინარე საკითხები.

რადგან საკითხები სერიოზულია, ამიტომ დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: კოსტანიანი, საკიანი, რ[illegible] ([illegible] განათლებიდან) ატოევი, გეურქოვი (კომკავშირის ცეკადან), ზაცევიჩი, კრ[illegible], [illegible].

აგრეთვე სავალდებულოა დაესწრონ ცეკას ყველა განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა გამგენი და მდივნები.

თხოვნაა—არ დაიგვიანონ.

ცეკას საორგანიზ. განყოფ. მდივანი [illegible]

— **თბილისის კომიტეტის** აღმრიცხველ-გამნაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ კომიტეტის აღმრიცხველ გამნაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან.

რაზმ ძე. ბერძენიშვილი, შიფერი (აგრეთვე საორგანიზაციო განყოფილების მდივანი ამხ. პანტურიასთან) ივანოვა ელენე, ლებედევი პეტრე, სტეპანოვი დიმიტრი, ნაროდიშვილი კონრადი, ივანოვი ანტონინა, დმიტრიევი [illegible], [illegible] ივანე, [illegible], მუშალიტინ ივანე, სადოვსკი გერმან, არჩაკოვ ივ[illegible], [illegible] ვასილი, [illegible], ფედორენკო, კილაძე, სემიონოვ ტროფიმ, იგნატიე[illegible], [illegible], [illegible]თაშვილი, დერმიჩევ პავლე.

აღმრიცხველ-განაწილებელი განყოფილება.

— **ლენინის რაიკომი** იუწყება ლენინის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ: კვირას, 30 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე ნაძალადევის თეატრის შენობაში მოხდება რკინის გზის საგანგ. კომისიაზე ლენინის ორგანიზაციისაგან—დროშის საზეიმო გადმოცემა.

ამასთან ერთად დროშის გადაცემის ზეიმში მონაწილეობისათვის ლენინის რაიკომის მიერ მოწვეულ არიან შემდეგი ამხანაგები: კახიანი. რუბენი. ორახელაშვილი. ქართველიშვილი მ. ორჯონიკიძე. პუგაჩოვი. მიასნიკოვი. ნაზარეტიანი. ბერია. მოგილევსკი. კვანტალიანი. სტურუა გ. საბაშვილი. [illegible]. კოლოსოვი. [illegible]აბაშიძე.

ლენინ. რაიკომის მდივანი ფინცუში.

— **არსენალის რაიკომი** იუწყება: კვირას, 30 ნოემბერს დილის 9 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის **ბიუროს სხდომა** პარტიაში მიღების საკითხის გასარჩევად.

ქვემო-დასახელებული ამხანაგებს, რომელთაც განცხადება მისცეს პარტიაში შესვლის შესახებ, წინადადება ეძლევათ უეჭველათ გამოცხადდნენ:

ჩიჯავაძე ივან. ხოშტარია ალ. სიხაშვილი [illegible] შაქრო. [illegible]. [illegible] კოლოშ. ანტიპოვ სიმონ. ულიშკინ სტეფან. კულიკოვ სტეფან. [illegible]. [illegible]ტაძე გერასიმ. გაგუგირიძე ალ. ტატაევ სოლომონ. [illegible]. ბალოიან ჰაიკ. შიშკევიჩ ეფიმ. პოლოსოვ არ[illegible]. [illegible] გიორგი. პო[illegible]ოსიან სარქის. ყაზაროვ ალექსი. [illegible]. [illegible] ვასილი. ევშინევ მიხ. დარბინიან ასლან. [illegible]. ასლანოვ სერგო. სარ[illegible]. [illegible]. ხანგურაშვილი ალ. დანიელიანც გურგენ. კარ[illegible]. ჩატუროვ შიმავონ. ხეჩოევ არტაშ. ალიხანოვ პოღოს. მამაჯანოვ სერგო. სიმონოვ ნიკიტა. ქარიშვილი ვასილი. ვოლოდინ ნიკ. ოგანჯანოვ ოგანეს. ბონდარენკო პავლე მარქაროვ გიორგი. შეგელაია ვლ. იმაძე იოსებ. დავლიან ძე იპოლიტ. მირიშვილი გიორგი. პოტური დავით. შახნაზაროვ გიორგი.

საორგ. განყ. გამგე [illegible]

ცხადი იყო რომ ეს „ათას ერთი ღამის" ამბავს გავდა ყოველმხრივ! აბა, როდის უნდა შეთანხმდენ დიდი მთავრები, იმაზე თუ ვის ერგება იმპერატორობა, და აბა როდის უნდა შეაგროვონ შემოწირულებით არჩეული იმპერატორის ამერიკიდან კრემლში ჩასაყვანად საჭირო ხარჯები... ამას გარდა ამ შეხვედრების დროს ისიც გამოირკვა, რომ მონარქისტები ძალიან უბრალოდ და „მამაშვილურად" უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას; და მათი იმედები კიდეც რომ გამარჯვებით გათავდეს, ალბად ამას ახალი ქართული ფრონტი და ახალი ემიგრაცია მოჰყვებოდა...

ასე დასრულდა უკანასკნელი მირაჟის ამბავი...

ეს იყო შარშან ოქტომბერში...

მაგრამ ბევრისთვის ეს მირაჟები დღესაც არ გამქრალა...

ბევრი კიდეც ამ მირაჟებზე აშენებს მომავლის გეგმებს. და ვინაიდან ეს მირაჟები ძალიან ძვირად უჯდის ყოველთვის ქართველ ხალხს, ამიტომ შევჩერდი მასზედ რაც უკვე იყო.

ამ დროს უკვე ცხადი იყო ჩემთვის რომ დრო ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არა მათ, სასარგებლოდ მუშაობდა; როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე მათ გარედ.

თანდათან ვხედავთ, როგორ მტკიცდებოდა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად საბჭოთა რეჟიმი რუსეთსა და საქართველოში, როგორ ჰქრებოდა ილიუზია რუსეთის „გაზაფხულზე" ან „შემოდგომაზე" შინაური კატასტროფიული გადატრიალებისა და როგორ მტკიცდებოდა ამავე პროპორციით ავტორიტეტი და პრესტიჟი საბჭოთა რესპუბლიკებისა ევროპაში, განსაკუთრებით დემოკრატიულ კლასებში და პარტიებში; მარტო გიჟს შეუძლია დღეს იმაზე ფიქრი, რომ ევროპა ახალ „საჯვაროსნო" ომებს დაიწყებს კაპიტალიზმის პრინციპის გასამარჯვებლად რუსეთში; წინააღმდეგის კი ძალიან ეშინიათ, რადგან ახალი ომი ყველგან უეჭველად კომუნისტურ., მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს იდეის გავლენის ქვეშ არის; ასეთ პირობებში უფრო მოსალოდნელია წითელი საზღვარის გადმოწევა ევროპისკენ, ვიდრე თეთრი საზღვარის შეწევა რუსეთში

თანდათან მტკიცდებოდა ჩემ გონებაში ის აზრი, რომ წინდაწინ წაგებულ და ქვეყნისთვის დამღუპველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია და რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნად თანამშრომლობა აგვეჩია—ქართველი ხალხისათვის ეს აჯობებდა.

ამ დროიდან ფაქტიურად შევწყვიტე პოლიტიკური მოქმედება და ამასთან ერთად მიწერ-მოწერაც სხვადასხვა ცენტრებში მყოფ პარტიულ ამხანაგებთან.—არც გასაკეთებელი იყო რამე და არც სათქმელი; მას აქეთ ამა წლის 18 მაისამდის მხოლოდ პასიური მონაწილე გახლდით პარიზის ანტიბოლშევიკური ცენტრისა, სანამ 18 მაისს მიღებულმა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" ცირკულიარმა შესახებ პარიზის ინტერპარტიული კოლეგიის რეორგანიზაციისა, ფორმალურადაც არ მოახდინა ჩემი დემობილიზაცია ანტიბოლშევიკური ფრონტიდან.

ამიტომ მე არ ვიცი, ვისი და რისი იმედები იყო, რომ გადააწყვეტია „დამ. კომ."-ს ნაციონალ-დემოკრატებს მიმხრობოდნენ მენშევიკთა ავანტიურას.

* *

არა მარტო მე განვიცდიდი ასეთ სკეპტიციზმს: ნიკო ნიკოლაძე შემდეგს მწერდა შარშან ლონდონიდან

— „დიდ უბედურებათ მიმაჩნია საქართველოში ანტიბოლშევიკური ინტერპარტიული აქტიური ბრძოლა... უნდა ვეცადოთ რომ რაც შეიძლება მეტი დამზადებული ძალები გვყავდეს საქმიანობაში გამოცდილი... ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ასეთი ძალების ფლანგვას პოლიტიკურ გამოსვლებში... მივაპყროთ თავი მთავრობის ძიებას... უნდა კულტურულად დავეწაფოთ წარმოებას, მრეწველობის აღდგენას, სიმდიდრის გამრავლებას ჩვენში... საქართველოს თავისუფლება მარტო იმდენად გაუშვებს ფესვებს ჩვენს ნიადაგში, რამდენიც მეტი გვეყოლება დამზადებული და ძლიერი, მდიდარი და მცოდნე ხალხი,. ჩვენი ეხლანდელი ანტიბოლშევიკური ბრძოლა კი გვიღუპავს ჩვენ ინტელიგენციასო"..

სამწუხაროდ ამ მიწერ-მოწერიდან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნები დროზე ვერ ვაღიარეთ საჯაროდ აქ, ემიგრაციაში, ქართული პოლიტიკის სავალდებულო ნორმათ დღეს, აჯანყების სისხლის წვიმა გვავალებს მივუთითოთ ანტიბოლშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია. და ეს კი ნიშნავს ამ ფრონტთან დაკავშირებულ ყველა პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას.

უნდა ვაღიაროთ აშკარად რომ, როგორც ნ. ჟორდანიას მთავრობა, ისე კ. ჩხეიძის დამფუძნებელი კრება და მისი შემადგენელი პარტიები პოლიტიკურად მოკვდენ.

დაჭირდება თუ არა საქართველოს ახალი პოლიტიკური გადაჯგუფებანი და შეჯგუფებანი—ეს მომავლის საკითხია... ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ცხადია, როგორც ეს ვთქვი ბერლინში ქართული კოლონიის მიერ 1923 წლის შეხვედრისას,—ახალი საქართველოს ახალი პოლიტიკისათვის ახალი ასაკის, ახალი თაობის და ახალი და ის ფიზიკური და მორალური ძალები იქნება საჭირო თავდაპირველად...

მაგრამ დღეს კი, იმ სასტიკ და ცივ სინამდვილეში, რომლის წინაშე დაგვაყენა აჯანყებამ, საჭიროა რეალური პოლიტიკა,—მთელი ენერგიის ხარჯვა ხალხური სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული საძირკვლის გამაგრებისათვის.

ამ პოლიტიკას დაადგა პოლონეთი 1863 წლის უბედური აჯანყების შემდეგ და საქართველოსაც ეს პოლიტიკა სჭირია და არა ირლანდიელი სინფეინერობა.

საჭიროა ამ სინფეინური ფსიხოზისგან გამოფხიზლება, მივიწყება ზღაპრებია კონსერვატიული ინგლისის დრედნოუტებისა და მათი შავი ზღვით დესანტებისა, მეორე—ინტერნაციონალის და ხალხთა ლიგის რეფერენდუმის და პლებისციტების შესახებ, და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნვა.

ქართულ ემიგრაციას სჭირია ამ მხრივ იმ ფაზის გავლა, რომელიც უკვე გაიარა რუსის დემოკრატიულმა ემიგრაციამ, როცა ვრანგელის დამარცხების შემდეგ, მილიუკოვმა მოითხოვა შეიარაღებული ანტიბოლშევიკური ფრონტის დემობილიზაცია და ლიკვიდაცია.

მაგრამ თუ დღემდის ქართულ ემიგრაციას მილიუკოვის ტაქტიკაც კი არ ქონდა მიღებული, დღეს ჩვენ მარტო ეს ნეგატიური პოლიტიკა ვერ გვიშველის.

[illegible]შვილის ნეიტრალიზმი..

საჭიროა ქართული Смена вех და პირდაპირ, პატიოსანი აღიარება იმ ერთად ერთ საქართველოსი, რომელიც დღეს არსებობს რეალურად, რომელსაც მომავალი იურიდიულიც აქვს და ფაქტიურიც და რომელიც ისტორიულად თანდათან გამართლებული გამოდის...

რა გვიშლის დღეს ამ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს მიღებას?

მხოლოდ ტერორი, რეპრესიები, რომელმაც „უდანაშაულონიც კი იმსხვერპლა"!..

— მერე რა არის გამოსავალი საღ არის პრაქტიკული საშუალება ამ ტერორის დაოკებისა?—ესაა იმ ანტიბოლშევიკური ფრონტების საბოლოო ლიკვიდაცია, რომელთაც გამოიწვიეს ეს ტერორი.

უნდა ვეცადოთ, რომ ამნისტიის საშუალებით დაიშალოს ყველა ის ანტიბოლშევიკური რაზმები, რომელნიც მოქმედებენ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში, ალექსანდრე ბატონიშვილების დრო აღარ არის!..

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს სამოქალაქო ომი სათავეშივ მოისპოს ჩვენში, მით უფრო რომ მას ობიექტიური საფუძველი არა აქვს საქართველოს სუსტი სოციალური დიფერენციაციის გამო.

ხოლო სუბიექტიური საფუძველი უნდა მოსპოს როგორც ინტელიგენციამ, ისე საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩვენ უნდა მივანებოთ თავი იმის წარმოდგენას, რომ ორჯონიკიძე ახალი გენერალი ციციანოვია, რომელიც ასი წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის საქმეებს და სახანოებს და უნდა შევხედოთ მას და მის კოლეგებს ორახელაშვილს, ელიავას, ლოლობერიძეს, როგორც ქართულ მთავრობას, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ პირობებით და საქართველოს გარშემო არსებული დღევანდელი საერთაშორისო ძალთა-განწყობილების მიხედვით მოქმედებს...

თუ ეს პირობები და ეს განწყობილება რუსეთის წითელ ჯარს აჩერებს საქართველოში, სამაგიეროდ უნდა დავინახოთ რომ საბჭოთა მთავრობამ შესძლო პარალელურად ქართული წითელი ლაშქრის ორგანიზაციის შენარჩუნება...

* *

მოვიგონოთ როგორი იყო პატრიოტული ინტელიგენციის ტაქტიკა მენშევიკური პარტიის მიმართ, როცა მათ სახელმწიფო ძალა-უფლება ჩაიბარეს და მისი განხორციელება დაიწყეს?

განა მაშინ, რომ მენშევიკებისათვის ჩვენ შეიარაღებული ფრონტი მოგვეწყო სამი საქართველოში, მთავრობის დასამხობად ან და ევროპაში საემიგრაციო პროპაგანდა და გაკვეთა—განა მენშევიკი მინისტრები ტერორითა და სამოქალაქო ომით არ გვიპასუხებდენ?

პოლიტიკაში ხომ იგივე „წინააღმდეგობის" კანონი მოქმედებს, როგორც ფიზიკაში... შევიგნოთ ეს და მოვსპოთ სამოქალაქო ომი.

მართლაც განა შეიძლება კიდევ ქართული სისხლის ღვრა იმისთვის, რომ 1921 წლის თითქმის შემთხვევით ცნობილი de jure ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ნ. ჟორდანიას დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ აღდგეს de facto?

განა დრო არ არის ქართული ეროვნული ენერგია მოხმარდეს სავსებით ფაქტიურათ არსებულ საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციის გამაგრებას და იმ de jure-ს ფაქტიურად განმტკიცებას, რომელიც ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფედერატიული კონსტიტუციით.

1918 წელს ჩემ წიგნში „საქართველო და რუსეთი" ვწერდი, რომ ქართული პოლიტიკის ლოზუნგია—„საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ძლიერი [illegible] [illegible]მირით უზრუნველყოფილი". (გვ. 24).

ამ პოლიტიკის განხორციელება შესაძლოა საბჭოთა ფედერატიულ რელსებზედ. რაც მადლობა ღმერთს, სრულებით არ წარმოადგენს ძველი რუსოფილური ტუზემცების პოლიტიკისკენ დაბრუნებას.

დღევანდელი საბჭოთა კავშირი არც სახელითაა რუსეთი და არც შინაარსით; იგი არის ოთხი თანასწორი სახელმწიფოს ფედერაცია, რომელშიც დიდ რუსეთს—უკრაინასთან ბელორუსეთთან და ამიერკავკასიის ფედერაციასთან ერთად მეოთხედი ეკუთვნის.

და თუ საზოგადოთ საქართველოს სუვერენობა როგორც საჭიროა ისე არ არის დაცული საბჭოთა კავშირის ფედერაციაში—ამის მისაღწევად უნდა დაიხარჯოს სწორედ ქართული ეროვნული ენერგია, და არა აჯანყებისა ან სამოქალაქო ომისათვის.

თვით ს. ორჯონიკიძე ამბობს თავის ერთ უკანასკნელ სიტყვაში (ოქტომბერში)—„ჩვენ გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში" და დასძენს: „მე არ დავფიცავ და აშკარად ვიტყვი რომ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია ამ მხრივ, მაგრამ ამის მიზეზი საბჭოთა კავშირი კი არ არის, არამედ ის იმპერიალისტური სახელმწიფონი, რომლებიც ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევენ ჩვენი პროგრამის განსახორციელებლათო"...

უნდა ითქვას, რომ სადი პოლიტიკა სწორედ ესაა და არა ნ. ჟორდანიას რესტავრაცია!..

* * *

ამისათვის უნდა დავუბრუნდეთ რეალურად არსებულ საქართველოს! ქართული ემიგრაცია ევროპაში, როგორც მასსიური მოვლენა უნდა მოისპოს და უნდა დაბრუნდეს შინ თავისი მიტოვებული პროფესიონალური საქმიანობის გასაგრძელებლად; ევროპაში შეთვისებული ცოდნა და გამოცდილება ბევრად გამოადგება ემიგრაციას საქართველოში; ხოლო ამისთვის დაბერება ევროპაში არ ღირს მით უფრო, რომ ქართველობა ვერასოდეს ვერ მოეწყობა ევროპაში ისეთ კოლონიებად, როგორც სომხები და ბერძნები, საცა ყოველ თანამემამულეს მაშინვე მისი პროფესიის შესაფერ საქმეზე აყენებენ; ქართველობა კი ყველა კლასისა და პროფესიისა, ინტელიგენტური ცენზის გაურჩევლად, განწირულია სიტროენისა და რენოს საავტომობილო ქარხნებში ან და პარიზის სადგურებში ალჟირელებთან და მაროკანელებთან ერთად საკატორღო მანიოვრობას...

* * *

და თუ ბათომიდან წამოსვლისას ჩვენ გვაშინებდა ის კომუნისტური დიქტატურა, რომლის ღერბი, ჩაქუჩი და ნამგალია,—დღეს ევროპაში, სამი წლის ხეტიალის შემდეგ, ყველანი მშვიდობიანად შევხვდებით ესევე ღერბი რომ დაგვხვდება ბათომში.

რადგან უცხოეთში ბევრს ჩვენგანს ჰგონდა, რომ გლეხის ნამგალი მისი მამა-პაპის პროფესიონალური იარაღი იყო—ხოლო მუშის—ჩაქუჩი. ინტელიგენტებსაც გაგვაცნო ევროპაში გავლილმა სოციალურმა შკოლამ

* *

ფრანგული ანდაზა ამბობს, რომ „Tout Homme a deux Pays, le sien et puis la France".

დროა ეს პირველი სამშობლო დავიბრუნოთ!

გრიგოლ ვეშაპელი.

განცხადებები

მეუღლე ანნა სტანისლავის ასული, ძმები ალექსანდრე და ამბაკო ოჯახობით, და მართა და ახლობელი ნათესავები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 30 ნოემბერს ვერის სასაფლაოზე დღის 1 საათზე გადახდილი იქნება
ფილიპე ბაჭუას ძე მგელაძის
გარდაცვალებიდან ორმოცი დღის მოსაგონარი პანაშვიდი
3—3

ქალ. თბილისის მე-7 საბჭოთა აფთიაქის მოსამსახურენი გულთათუთქულნი აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი თანამშრომელი
ვერა ღვაბერიძისა
ცხედარს გამოასვენებენ კვირას 30 ნოემბერს დილის 12 საათზე საკუთარ ბინიდან, რ[illegible]ვაზოვის შ. სახვევი № 25. 2904 1—1

ილია და ოთარის ძე, ნინო სვიმონის ასული და ოთარი ილიას ძე ვოგუაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უძვირფასეს და დაუვიწყარ საყვარელ—პირველის სიდედრის, მეორის დედის და მესამის ბების
ოლღა ოთარის ასულის ფანიაშვილის
გარდაცვალებას ა. წ. ნოემბრის 29-ს. დაკრძალვა მოხდება დეკემბრის 2-ს ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ვერის დაღმართი № 21. 2908 1—1

ლადო სვიმონის ძე, თამარ სვიმონის [illegible] ასულები, ქეთევან ანტონის ასული და [illegible] ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უძვირფასეს, დაუვიწყარ და საყვარელ—პირველთა დედის, მეორის დედამთილის და მესამის ბების
ოლღა ოთარის ასულის ფანიაშვილის
გარდაცვალებას ა. წ. ნოემბრის 29-ს დაკრძალვა მოხდება დეკემბრის 2-ს ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ვერის დაღმართი № 21. 2903 1—1

ამწუხრებულნი დედ[illegible] მამა პლატონი და [illegible] აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 30-ს ნოემბერს დღის 12 საათზე ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი ქალიშვილის
მარგო-სი
2907 1—1

[illegible]რო, [illegible], თამარ და ვანო წულუკიძეები აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს, რომ კვირას 30 ნოემბერს გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი ბიძაშვილის
მარგო-სი
ვერის სასაფლაოზე დღის 12 საათზე. 312 1—1

თბილისის საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 4 დეკემბერს დილის 10 საათიდან საბაჟოს შენობაში

გაიყიდება ნაწილ-ნაწილად

ბევრი სხვა-დასხვა **კონტრაბანდული** საქონლები:

ბამბის, მატყლის და აბრეშუმის ქსოვილები, ტყავეულობა—ლაკი, შევრო, საგალანტერეიო საქონლები—ძაფები წინდები, ჩულქები—აბრეშუმის და ფილდეკოსის, ამონაქარგები და ფოლაქები, საკანცელარიო საგნები, პარფიუმერია და კოსმეტიკა, კოკაინი, კაკაო, საxარინი და სხვ.

და აგრეთვე დიდი პარტია საქონლების,

რომლებიც იყიდება შეფასების ვადის გასვლის გამო

სახელდობრ: კბილის პასტა ლითონის მილებში—149 დუჟ., წინდების დასაქსოვი ბამბის, „პოდვიაზკები"—200 დუჟ., სათუთუნეები ლითონის—60 დუჟ., პაპიროსის ქაღალდები, ფერადი შესახვევი 113,45 კილო, მამაკაცის პალტოები—64 ცალი, ძველი „ტუჟურკები"—1436 ცალი, „პლაშჩები"—11 ცალი, საxარინი ტაბლეტკებში—203 კილო, ქსოვილები: ბამბის—470 იარდი, მატყლის—520 მეტრი, ჯიბის სარკეები—720 დუჟინი და სხ.

თბილისის საბაჟოს გამგე დ. ბუჩჯანაძე.
საქონლის განყოფილ. გამგე: ი. კოკახიძე.
ნ. 310 1—1

სახელმწიფო ჰიდრო-ტექნიკური სამშენებლო კანტორა

„კავჰიდროსტროი"

სერგეევის ქუჩა, № 1

ასრულებს სამუშაოებს

აწარმოებს კვლევა-ძიებას, ადგენს პროექტებს და ხარჯთაღრიცხვას ყოველგვარ სამელიორაციო სამუშაოებისათვის, როგორიც არის: ჭაობების ამოშრობა, ხელოვნური მორწყვა, მიწის ღრმად აჭოლება (არტეზიანული წყალი), მდინარეთა ნაპირების გამაგრება.—განახლება, ამასთანავე ასრულებს ყოველგვარ ჰიდრო-ტექნიკურ, საწყალსადენო-საკანალიზაციო და სამშენებლო მუშაობას; ტექნიკური შესრულებისა და ვადაზე აღსრულების საგარანტიოდ დაწესებულია

ტექნიკური ექსპერტიზა და კონსულტაცია

„კავჰიდროსტროი".
ნ. 292—4—1

ტელეფონებით სარგებლობის შესახებ

თანახმად ს. ს რ. კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 92 მაისის და 1923 წლის 31 ივლისის დადგენილებებისა, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან უქმდება ყოველგვარი შეღავათი, რომლებიც ენიჭებოდა საბჭოთა დაწესებულებებს და საწარმოებს ტელეფონის ქირის გადახდაში და ფულის შეტანის ვადის გაგრძელებით და ნაცვლად ამისა შემოიღება ტელეფონით სარგებლობისათვის სრული და ნაღდი ანგარიშის პრინციპი. გარდა ამისა ზემოაღნიშნულ ორი კატეგორიის აბონენტები ვალდებული არიან შეიტანონ სატელეფონო ქსელის კასაში ექვსი თვის, ხოლო ყველა დანარჩენი აბონენტები, ერთი წლის ქირა წინდაწინ.

პირველ კატეგორიის აბონენტებათ ჩაითვლებიან იმ საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელნი და მუშაკნი, რომლებიც ირიცხებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე, მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან: ა) სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმოები, ბ) ის პირნი, რომლებიც მსახურობენ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე დაწესებულებებსა და საწარმოებში, გ) პროფორგანიზაციები და პარტორგანიზაციები და დ) კერძო პირნი, რომლებიც სარგებლობენ აპარატებით პირადი და საოჯახო საჭიროებისათვის.

მე-3 კატეგორიაში ჩაითვლებიან სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე დაწესებულებანი და საწარმოები და ის პირნი, რომლებიც თავის ბინაზე ეწევიან საკუთარ პროფესიონალურ საქმეებს.

მე-4 კატეგორიაში შედიან ის კერძო საწარმოები და დაწესებულებანი, რომლებიც მდებარეობენ საერთო სარგებლობისათვის გამოსადეგ ადგილებში, როგორიც არის მაგალითად: აფთიაქები, რესტორანები, კლუბები, მაღაზიები, სასტუმროები, კაფეები, თეატრები, ვოკზალი, სადარბაზო შესავალი კარები და სხვა.

დამატებითი აპარატები და დამატებითი მოწყობილობანი კატეგორიებად არ განაწილდება.

საბონენტო ქირა წესდება შემდეგი რაოდენობით:

1 და 2 კატეგორიებისათვის— 85 მან.
3 „ —130 მან.
4 „ —200 მან.

დამატებითი აპარატისათვის, რომელიც დაიდგმება ერთსა და იმავე შენობაში—45 მან.

დამატებითი აპარატისათვის, რომელიც დაიდგმება მეორე შენობაში აღნიშნულ 45 მანეთს მიემატება ზედმეტი 5 მანეთი ყოველ 100 საჟენის,—ან ამ სიგრძის ნაწილის,—მავთულზე, რომელიც აერთებს დამატებითი აპარატს მთავარი აპარატთან.

დამატებით მოწყობილობისათვის: ზარის, სასმენი მილის (трубка) და გადამყვან ისრისათვის (переключатель)—5 მან. წლიურათ.

დამატებით როზეტკებისა და დიდი ინდუქტორულ ზარებისათვის—10 მან.

გარდა საბონენტო ქირისა, იმ აბონენტებს, რომლებიც დაშორებული არიან ცენტრალურ სადგურისაგან 3 ვერსტზე მეტათ,—პირდაპირი მანძილის ანგარიშით—გამოერთმევა ხუთ-ხუთი მანეთი მავთულის ყოველ 100 საჟენზე ან იმ სიგრძის ნაწილზე.

ის პირნი ან დაწესებულებანი, რომლებიც ვადის გასვლის შემდეგ 7 დღის განმავლობაში არ გადაიხდიან ტელეფონისათვის ხვედრ ქირას, ჩაითვლებიან გამორიცხულათ აბონენტთა სიიდან და ამ შემთხვევაში თბილისის სატელეფონო ქსელის გამგეს უფლება ეძლევა მოხსნას აპარატები და გადასცეს ისინი სხვა პირთ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტელეფონი საჭირო არ იქნება აბონენტისათვის, უკანასკნელნი ვალდებული არიან წინდაწინ აცნობონ ამის შესახებ ადმინისტრაციას და ჩააბარონ მას აპარატი და მთელი მისი მართულობა უნაკლოთ და დაუზიანებლათ. უკეთუ ტელეფონი ან მისი მართულობა დაზიანებული იქნება აბონენტების მიერ, მათ გადახდებათ დაზიანებულ საგნების სრული ფასი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აპარატების გადატან-გადმოტანა ადმინისტრაციის ცნობისა და ნებართვის გარეშე.

ნ. № 313 1—1.

სახელმწიფო დრამა

დღეს, კვირას, 30 ნოემბერს

„ვინძორის მხიარული ქალები"

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

წარმოდგენას დაესწრება ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაცია

ნის. № 403—3—3

სახელმწ. ოპერა

დღეს, კვირას, 30 ნოემბერს

კარმენ

ნის. № 305 2—2

„თეატრი და ცხოვრება"

მორიგი ნომერი—16 (19 გამოვიდა. მოიკითხეთ ყველგან. რედაქციის ბინა თბ. სასახლის ქ., № 5

ნის. 314—2—1

მიიღება ხელის მოწერა

პოეტურ მოღვაწეობის 20 წლის აღსანიშნავად

სანდრო შანშიაშვილის

პირველად რჩეულ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა გამოცემაზე ნაწარმოებანი გამოიცემა სამ ტომად (700 გვერდ.)

პირველ ტომში: **ჩემი ქნარი** მოთავსდება **ლირიკა:**

1. ცხოვრების გზაზე (საპოქალაქო მოტივები), 2. ელდინო (Poèsies èrotiques, 3. ბაღი სევდისა, 4. ტრფობის ნაშთი, 5. Vita nouva. (ახალი ცხოვრება), 6. კახეთის დედოფალი (წიგნი ლეგენდების), 7. სულამიტ, 8. ჰიმნი გულს, 9. მკვლელი ნიღაბში, 10. დალი (ღმერთების პანთეონი).

მეორე ტომში მოთავსდება **პოემები:**

1. იასონ და რენო, 2. ოქროს ვერძი, 3. მედია და მშვენიერი ელენე, 4. იდეალების წინაშე, 5. ამირან, 6. ქალი გრძნეული, 7. ლანდები, 8. ორფეუს და ევრიდიკე, 9. ელბერდ ბატონიშვილი.

მესამე ტომში მოთავსდება **დრამები და ტრაგედიები:**

1. უგვირგვინო მეფე 5 მოქმ., 2. როდამ 1 მოქ., 3. ბერდო-ზმანია 5 მოქმედ., 4. სპარტაკ 5 მოქმედ., 5. ლატავრა 4 მოქმედ. 6. მათრახის პანაშვიდი. (ჭერეთის გმირები) 4 მოქმედ. 7. ოცნების მხარეს. დრამ. პოემა. 8. მეფე მესანი. დრამ. პოემა.

სამივე ტომი ღირს ათი მანეთი.

ფული გადახდა შეიძლება ნაწილობრივ:

1) პირველად ხელის მოწერისათანავე 3 მან.
2) პირველ ტომის მიღებისათანავე 3 მანეთი.
3) დანარჩენ ორი ტომის მიღებისათანავე ცალზე 2 მან.

ფულს ვინც ერთბაშად შემოიტანს, იხდის სამივე ტომში 8 მან.

ბაზარზე გასასყიდათ წიგნები არ გამოიშვება.

ვინც ათი ხელის მომწერს იშოვის გარეშე აგენტისა, სამივე წიგნი უფასოდ დაეთმობა ავტორის სურათით და ხელის მოწერით.

აგენტებს ეთმობათ პროცენტები. უნდა მიმართონ პირადათ ავტორს. გამოცემას ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი. წიგნების ადრე და მალე გამოცემა დამოკიდებულია ხელის მომწერთა თანაგრძნობაზე და დაჩქარებაზე. გაცემულ ნამდვილ ქვითარად ის ჩაითვლება, რომელზედაც ავტორის სურათი და ხელის მოწერა იქნება.

წერილებისთვის, დეპეშებისთვის, ავტორის სანახავად, ფულის გადმოსაგზავნად — მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპ. № 22. რედაქცია „დროშა". სანდრო შანშიაშვილი.

ნ. 259 3—3 გამომცემელი თ. ჩიქვანაია.

ლენინგრადის სახელმწიფო ელექტრო-მანქანის სამშენებლო

ტრესტი

თბილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი 8—20.

„ელმაშტრესტი"

ყველაფერი ელექტროფიკაციისათვის

სოფლად, ქალაქში რკინის გზებზე, სამრეწველო წარმოებებში· პროექტები ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილობა, ტექნიკ. ზედამხედველობა.

კონსულტაცია

სპეციალურად: გამოკვლევები, პროექტები, ჰიდრო-ელექტრონის სადგურების მოწყობა.

ნ. 90 6—5

ა.-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის

სავალიუტო სამმართველო

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მე-2 მომგებიან 6 პროცენტიან ოქროს სესხის ზოგიერთ ობლიგაციებზე შეცდომით წარწერილი ამკრძალველი გრიფები შემდეგი შინაარსის **„არ მიიღება გირაოთ და არ შეიძლება შეფასებულ იქნეს ოფიციალურ ბირჟაზე"** („**не подлежит приему в залог и котировке на бирже**")—უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ

ა.-კ. ფინ. სახ. კ—ის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ა. საფარიანი.
ნ. № 309

საქართველოს მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ტყავეულობის ტრესტი

აცნობებს, რომ ფასები **დაკლებულია 20 პროცენტით**

სპეც-ჩექმებზე და ფეხსაცმელებზე

წერილობით ვაჭრობა: სომხების ბაზარი 6. ტელეფ. 8—95. გამგეობა და საბითუმო საწყობი: კომუნალური ქ. (ყოფ. ვორონცოვისა) № 82. ტელეფ. 9—71 და 3—08.

მსახიობთა **ქართული დრამა** ამხანაგობა

1924—25 წ. სეზონი

ქალები:

აბაშიძე ტასო (დამსახ. მსახიობი)
აბაშიძე ელენე
აბელიშვილი ანტონინა
ანდრონიკაშვილი ელო
ანკარა სოფიო
ანდრონიკაშვილი ქეთევანი
ივერიელი ალექსანდრა
ნინონი ნინო
რონელი ბარბარე
ქიღარჯიშვილი მარგარიტა
ქიქოძე ალისა
ქიქოძე ანნა
ჩერქეზიშვილი ელ. (დამსახურ. მსახიობი).
ჩხეიძე ნინო (დამსახ. მსახიობი).

კაცები:

აბაშიძე ვასო (რესპუბ. სახ. მსახიობი)
ხრაბიძე ვასო
ადამიძე ვლადიმერ
ბალანჩივაძე ვასო (დამსახ. მსახ.)
გამყრელიძე ვიქტორი (დამსახ. მსახიობი).
გელოვანი მიხეილი
გომელაური ზაქარია
გუგუშვილი ალექსანდრე
დვებუაძე ალექსანდრე
იმედაშვილი ალექსანდრე
კობელი ვასილი
მამულაიშვილი ნიკ.
მაჟორია ილია
მატარაძე ვიქტორი
მიქაბერიძე კონსტანტინე
ყვიძე იოსები
რომანიშვილი იოსები
საფაროვი ზაქარია
ფრონისპირელი გიორგი
ხახანაშვილი კონსტანტინე
ჭიაურელი მიხეილი

რეჟისორები:

ანდრონიკაშვილი კონსტანტინე.
წუწუნავა ალექსანდრე.

მოკარნახენი:

მგალობლიშვილი ალექსანდრე
ციბაძე არჩილი.

მხატვარი სიდამონ-ერისთავი ვალერიანი.
სამხატვრო ნაწილის გამგე ანდრონიკაშვილი კონსტანტინე.

რეპერტუარი:

„კაცის სამართალი"—ნ. ნაკაშიძე,
„სტუმარ მასპინძლობა"—ტ. რამიშვილი
„პაატა ბატონიშვილი"—დ. ნახუცრიშვილი
„გუშინდელნი"—შ. დადიანი,
„სამანიშვილის დედინაცვალი"—დ. კლდიაშვილი. შ. შარაბიძის ინსცენირება.
„მეფე ლირი"—ვილ. შექსპირი.
„კაენი" ბაირონი
„დანტონი"—რომენ-როლანი.
„კრაზანა ვოინიჩი"

დასის გამგე იმედაშვილი ალექსანდრე.

სახელმწიფო ოპერის თეატრი.

ორშაბათს, დეკემბრის 1-ს. წარმოდგენა № 1.

ი. გედევანიშვილი

მსხვერპლი

დრამა 3 მოქმ. სოფლის ცხოვრებიდან.

მონაწილეობენ: აბაშიძე ტასო, ანდრონიკაშვილი ელო, ანკარა ს., ივერიელი ალ., ნინონი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხეიძე ნინო, დამიძე ვ., ანდრონიკაშვილი კ., ბალანჩივაძე ვ., გამყრელიძე ვ., გელოვანი მ., გომელაური ზ., **გოცირიძე ნიკო** (რესპუბ. სახ. მსახიობი), დვებუაძე ალ., იმედაშვილი ალ., კობელი ვ., მამულაიშვილი ნ., მატარაძე ვ., მიქაბერიძე კ., ყვიძე ი., რომანიშვილი ი., საფაროვი ზ., ფრონისპირელი გ., ჭიაურელი მიხ. და თანამშრომელნი.

დადგმა ალ. წუწუნავასი.

ახალი დეკორაციები ვ. სიდამონ-ერისთავისა.

მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ.

ადგილების ფასები 30 კაპიკიდან 2 მანეთამდე. დასაწყისი სად. 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასის გამგე ალ. იმედაშვილი. ნ. 312 1—1

კინო-თეატრები

აპოლო, ციხეში და არფისტო

ორშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

მეორე სერია

სამი სიცოცხლე

რეჟისორი **პერესტიანი**
ოპერატორი **დიღმელოვი**

1—1 ნის. № 308

---

1 იანვრიდან დაიწყება მეცადინეობა 5 და 6 ჯგუფებში

სახალხო განათლების კომისარიატის

პრ. ტექნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუღალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 3—9 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუღალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე **ბუღალტერიის საფუძველს** (მარტივ, **ორმაგ** ანუ **იტალიურ** და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: **საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ** (სამაზრო ადმასკომებში ანგარიშების წარმოება), **სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სამომხმარებლო-საწარმოო** და **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ბუღალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა აღმშენებლობას** და **სავაჭრო კორესპონდენციას** (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა **საგნის პრაქტიკულად შესწავლას,**

ჩ ა წ ე რ ა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება"-ში ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 6. ს. თავართქილაძესთან.

ნის. № 299. 4—1

საქართველოს პასუხისმგებელ შრომის

არტელი

ბალანსი 1-ლ ოქტომბრისათვის 1924 წ.

აქტივი	მან. კაპ.	პასივი	მან. კაპ.
კასსა	739—65	საპაიო თანხები	51.547—77
უცხ. ვალიუტა და ფასიანი ქაღალდები კასაში	167—65	სხვადასხვა პირები	17.784—14
სახელმწიფო ანგარიშები და ანაბარი ბანკებში	6.114—59	გარდამავალი თანხები	3.678—64
დეპოზიტი და საწინდარი	16.358—21		
უძრავ-მოძრავი ქონება	10.420—46		
სხვადასხვა პირები	31.271—63		
გარდამავალი თანხები	7.165—68		
ზარალი 1924 წლისა	772—68		
	73.010—55		73.010—55

№ 311. 1—1. არტელის გამგეობა.

ექიმი

გ. გ. მეჰრაბიანცი

ავადმყოფობანი შინაგანი, გულის, [illegible] მკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—10 2740

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს"-პირდაპირ. 25—3 № 2850

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—5

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტების სნეულებათა მკურნალობა

■ ■ ელექტრო-სინათლით ■ ■ სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ. (გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 111 ბ. № 2
ქვ. № 253—25—25

ექიმი

შუხმანი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩ. პირდაპირ. 2672—25—17

ექიმმა

ზანდუკელმა

განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი

ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი

მიღება საღამოს 7—8 საათამდე. ლენინის (ოლღას) ქ. № 4?, ტელ.—82
№ 2797—25—8

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მატრიკული № 972, დიმიტრი ნიკოლოზის ძის ყიფიანის სახელობაზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2902

დავკარგე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ცომაიას სახელზე პირადი წიგნაკი, გაცემული სენაკის სამხედრო კომისარიატიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2900

დავკარგე წიგნაკი მოცემული ზუგდიდის დამზღვევ სალაროდან [illegible] გაუქმებულად. ანდრი მალანია.
1—1 2899

დავკარგე პირადობის მოწმობა მიცემული შეერთებულ მსუბუქ საგაუბიცო საარტილერიო პარკიდან, კავშირის წიგნაკი, გუტატე მუხიგულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2901

დავკარგე სამხედრო-საალრიცხვო ბარათი არჩილ დავითის ძე კაკულიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1—1 2898

დავკარგე პასპორტი ქუთაისის სამაზრო მილიციის სამმართველოდან აღებული აგაბო კოხმანის ძე ადეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2897

დავკარგე მოწმობა № 434964 მოცემული რკინის გზის სამმართველოს მიერ 26 აგვისტ. 1916 წ. მემანქანის თანაშემწის თანამდებობაზე, აგაბო ივანეს ძე მაჩიტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
1—1 2894

დავკარგე (პირადობის) პროფ-კავშირის მოწმობა, გაცემული კიათურის სამთომადნო პროფკავშირიდან № 862 დავით გიორგის ძე კამლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2895

დავკარგე პირადობის მოწმობა, პარტიული ბილეთი № 4441, მუშაკის მოწმობა, აღრიცხვის ბარათი და სამგზავრო ბილეთი მოცემული ა.-კ. რკინის გზის სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულად. ივანე პეტრეს ძე ხვედელიძე.
1—1 2903

დავკარგე საწევრო წიგნაკი, გაცემული განათლების მუშაკთა კავშირიდან ექ. გრიგოლ [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2906

დავკარგე კავშირის წიგნაკი გიორგი სოლომონის ძე ილიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1 1 2909

დავკარგე აღრიცხვის ბარათი, გაცემული ქ. სენაკის სამხედრო კომისარიატის მიერ ლავრენტი მაქსიმეს ძე ჯლანჯღავას სახელზე № 200. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 2905

დავკარგე მბეჭდავთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი ვასო ნიკოლოზის ძე კომახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად